სულხან კიკნაძე

გენოციდი

თბილისი
2007

წინამდებარე ნაშრომი „ გენოციდი" სამი თავისგან შედგება. ეს პრობლემა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად არის დამუშავებული, მაშინ, როცა ამ საკითხს საქართველოსთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ავტორს სერიოზულად უმუშავია, შეუსწავლია შესაბამისი ლიტერატურა და მისი ანალიზის საფუძველზე გამოთქმული აქვს საკუთარი შეხედულებანი ამ ურთულესი პრობლემის ირგვლივ.

ნაშრომის ბოლო თავი მიძღვნილი აქვს მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის აფხაზეთის ვითარებისადმი, სადაც ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა განხრციელდა. სწორედ ამ მხრივ ნაშრომს კიდევ უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობ მოცემული ნაშრომის გამოქვეყნება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.

რედაქტორი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფ. ოთარ გამყრელიძე**

რეცენზენტი: თეუსუ-ს **პროფ. პაატა დავითაია**

ასისტენტი: მაგისტრი, **გენადი იოსებაშვილი**

© სულხან კიკნაძე, 2007
SBN 978-9941-0-0013-3

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..... 5

თავი I
გენოციდის ცნება და შინაარსი

§1. გენოციდის ეტიმოლოგიური
განმარტება და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა
შედარებითი ანალიზი..... 10

§2. გენოციდის ცნება და არსი..... 23

§3. ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და
რელიგიური ჯგუფების დაცვა გენოციდისგან..... 51

თავი II
გენოციდი საერთაშორისო და
შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით

§1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი
გენოციდის ზოგადი ანალიზი..... 55

§2. გენოციდისათვის პასუხისმგებლობის
საერთაშორისო საშუალებები..... 61

§3. გენოციდი როგორც მსოფლიო
მასშტაბის დანაშაული..... 67

§4. გენოციდი ევროპის ზოგიერთი
ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით..... 78

თავი III
გენოციდი აფხაზეთში
ქართველი ხალხის წინააღმდეგ

§1. გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დაწყების
წინა პერიოდი აფხაზეთში..... 86

§2. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ქართველი ხალხის მიმართ მოწყობილი
გენოციდის ზოგადი ანალიზი..... 101

რეზიუმე გერმანულ ენაზე..... 119

შესავალი

გენოციდის პრობლემას თანამედროვე იურისპრუდენციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი განიკუთვნება როგორც სისხლის სამართლის, ისე საერთაშორისო სამართლის კვლევის ობიექტს. გენოციდი საერთაშორისო დანაშაულია, ამიტომ, ცხადია, მას ვერ განვიხილავთ მხოლოდ ეროვნული სამართალი გაცილებით ღარიბია იმ საერთაშორისო აქტებთან შედარებით, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავენ გენოციდის დანაშაულს. იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნას ამ ურთულესი საკითხისადმი, აუცილებელია იგი განვიხილოთ როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

ევროპული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გენოციდი საკმაოდ შინაარსობრივად არის დამუშავებული. მიუხედავად ამისა, გენოციდის ევროპელი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ეს დანაშაული კვლავ რჩება მწვავე დისკუსიისა და მსჯელობის საგნად, ამიტომ აუცილებელია მოცემული პრობლემის ირგვლივ კიდევ უფრო ინტენსიური სამეცნიერო მუშაობის წარმართვა.

გენოციდი მეოცე საუკუნის დანაშაულად არის მიჩნეული. კაცობრიობის ისტორიას ამ დანაშაულმა უდიდესი მსხვერპლი მოუტანა, რაც ძირითადად ვლინდებოდა წარმომაელობის, ეთნიკური კუთვნილების და კულტურული ნიშნის საფუძველზე ადამიანთა სიცოცხლის მოსპობაში ან ჯანმრთელობის დაზიანებაში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქების მიერ სომხებზე განხორციელებული გენოციდის შედეგად საერთაშორისო პოლიტიკა უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთგვარ სისტემად ჩამოყალიბდა, რომელიც მოიაზრებდა: 1. შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო, ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. 2. ცალმხრივ დაპირებებს უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავდნენ განსაზღვრებას მოქალაქეობაზე, სიცოცხლის ხელშეუხებლობაზე, დისკრიმინაციისაგან დაცვისა და პრივილეგიის აკრძალვაზე. ასე რომ, ისინი ქმნიდნენ ძირითად უფლებათა დაცვის ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინდივიდის სიცოცხლე წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის მთავარ ობიექტს. კოლექტიური დაცვის სისტემა ინდივიდუალურით შეიცვალა, რაც გულისხმობდა საზოგადოების თითოეული ინდივიდის დაცვას.

მეოცე საუკუნეში ჩადენილი გენოციდის დანაშაულთაგან ყველაზე გავრცელებულ მაგალითებს განეკუთვნება:

1. თურქების მიერ სომხებზე განხორციელებული გენოციდი (1915-1918წ. მსხვერპლთა რაოდენობა –1 400 000);

2. გენოციდი ავსტრალიაში აბორიგენების წინააღმდეგ (1924წ. მსხვერპლთა რაოდენობა 10 000);

3. ჩინელთა მიერ მოწყობილი გენოციდი ტიბეტელი ხალხის მიმართ (1966-1969წ.) ;

4. კამბოჯაში ჩადენილი გენოციდი (1975-1979წ. მსხვერპლთა რაოდენობა 2 000 000);

5. გენოციდი ერაყში ქურთების წინააღმდეგ (1980-1988წ. მსხვერპლთა რაოდენობა 100 000);

6. გენოციდი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე (1991-1999წ. მსხვერპლთა რაოდენობა 800 000);

7. გენოციდი რუანდაში (1994წ. მსხვერპლთა რაოდენობა 1000 000);

აფხაზეთში, ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდის შესახებ კი წინამდებარე მონოგრაფიის მესამე თავშია მოცემული, სადაც შეეცადე იურიდიულად დამესაბუთებინა ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტები.

როგორც აღინიშნა, გენოციდმა კვალიფიციური სახე მეოცე საუკუნიდან შეიძინა შესაბამისად სწორედ ამ პერიოდიდან მოხდა ევროპის მრავალ ქვეყანაში გენოციდის საკანონმდებლო კოდიფიკაცია. ამ მხრივ პოზიტიური როლი ითამაშა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა „ გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციამ". გენოციდისათვის განისაზღვრა პასუხისმგებლობის საერთაშორისო საფუძვლები.

გენოციდი საზოგადოებრივად საშიში ხასიათისაა, რომელიც ე. წ. „ XX საუკუნის" დანაშაულთან ერთად ყველაზე „მსხვერპლიანი" დანაშაულის სახელითაც შეიძლება მოვიხსენიოთ. ამიტომ, მართებულად მიმაჩნია ამ წიგნში ცალკე თავი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი გენოციდის ფაქტების ზოგად განხილვას დავუთმო, ისევე როგორც, ცალკე თავად მსურს გამოვყო აფხაზეთში ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდი.

ამასთან, მსოფლიო გამოცდილება საშუალებას მოგვცემს უფრო თვალნათლივ დავინახოთ ამ დანაშაულისათვის პასუხისმგელობის სამართლებრივი საფუძვლები.

სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართულ იურისპრუდენციაში გენოციდის პრობლემა ნაკლებად არის დამუშავებული, რაც ცხადია, ხშირ შემთხვევაში, არიულებს პრობლემის სწორად გააზრების შესაძლებლობას. იმისათვის, რომ ამ დანაშაულის არსი

და იურიდიული ბუნება სწორად გავიაზროთ, აუცილებელია გავითვალიწინოთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება, სადაც გენოციდის კვლევითი ინსტიტუტები ქმნიან სრულყოფილ სურათს ამ საერთაშორისო დანაშაულის ირგვლივ.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ნაშრომის მთავარი ამოცანაა გენოციდის, როგორც სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის გეგმაზომიერი გაანალიზება და მისი სწორი გააზრება როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ისე შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ამდენად, ამ პრობლემის რეგულირების გზები არ შემოიფარგლება შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობებით, რასაც თავისი ლოგიკური საფუძველი გააჩნია, კერძოდ გენოციდი განეკუთვნება საერთაშორისო დანაშაულს. საერთაშორისო სამართლის წიაღში ამ დანაშაულის წინა პლანზე წამოწევას თან სდევდა მრავალი ობიექტური კანონზომიერება, რაც განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი მეთოდიკა და პრევენციული ღონისძიებების გატარების საშუალებები საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზით ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

ნაშრომის შესავალი საშუალებას გვაძლევს ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას ამ დანაშაულის მნიშვნელობისა და მისი სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობის შესახებ. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ჩვენს ქვეყანაში გენოციდის შესახებ ქართულენოვანი იურიდიული ლიტერატურა, რომელიც ამ დანაშაულის შინაარსს და მნიშვნელობას სრულყოფილი სახით წარმოგვიდგენს, ფაქტიურად არ გამოცემულა. სწორედ ამიტომ, წიგნი მიზნად ისახავს ეს დანაშაული შეძლებისდაგვარად

სრულყოფილი სახით წარმოადგინოს როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

ამდენად, ამ წიგნის შექმნას გააჩნია თავისი ობიექტური საფუძველი, მათ შორის, აფხაზეთში ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ჯენოციდი ნათელი დასტურია იმისა, რომ ამ პრობლემას სჭირდება საფუძვლიანი შესწავლა და შესაბამისი იურიდიული შეფასება.

თავი I
გენოციდის ცნება და შინაარსი

§ 1. გენოციდის ეტიმოლოგიური განმარტება და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა შედარებითი ანალიზი

„გენოციდი“ უძველესი წარმომავლობის სიტყვაა. სიტყვა „გენოციდი“-ს შემადგენელი ნაწილია ტერმინი gens ისევე, როგორც ტერმინი ius gencium. რექსების ხანაში მას, როგორც დაუწერელ სამართალს, იყენებდნენ გვაროვნული ნიშნით გაერთიანებული პირთა გარკვეული ჯგუფები. სწორედ ამით აიხსნება სამათლის მოცემული სახელწოდება (ius სამართალი და gens ტომი, გვარი). ასე რომ, ius gencium სწორედ ცალკეული გვარისათვის დამახასიათებელ ქცევის წესს, ჩვეულებით სჯულს გულისხმობდა, რომელიც ნიშნავდა გვარისა და ტომის სამართალს.

ტერმინი „გენოციდი” ეტიმოლოგიურად ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან შედგება gens(გვარი, ტომი) და ceadere (მოკვლა). მართალია დღეისათვის გვაროვნული ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებს და ტომს ერთი აზრობრივი დანიშნულება გააჩნია, მაგრამ, ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ.VIII საუკუნეში ეს ორი ტერმინი ცალკე სიტყვებად იხმარებოდა. უცნობია თუ როდის დამკვიდრდა სიტყვა „gens,”რომელიც გვარისა თუ ტომის გარკვეულ ერთობას გულისხმობდა და რომის სამართლებრივ ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენებოდა. რაც შეეხება ტერმინს „ceadere”იგი, როგორც გერმანელი რომის სამართლის მეცნიერები მიიჩნევენ, დაამკვიდრა რომის ერთ-ერთმა რექსმა ნუმა პომპილიუსმა, რომელმაც პირველმა განასხვავა განზრახი მკვლელობა გაუფრთხილებელი მკვლელობისაგან. რომის სამართლის

აღნიშნული წყაროებით ირკვევა, რომ სიტყვა „ceadere"სხვა ტომში ან გვარში ერთიანებული პირის მკვლელობის სინონიმად იხმარებოდა, რისთვისაც დაზარალებულ გვარსა თუ ტომს შურისძიებისთვის უნდა მიემართა. ნუმა პომპილიუსის პერიოდში გამოიყენებოდა ასევე სიტყვა ceadere-საგან ნაწარმოები ტერმინი „pariciadas" რომელიც თანასწორ სიკვდილს გულისხმობდა.

სიტყვა „გენოციდი" პირველად, 1943 წელს იქნა დამკვიდრებული პოლონელი რაფაელ ლემკინის (1900-1959) მიერ, კანონპროექტში როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც განსაზღვრავდა სასჯელს ამ დანაშაულისათვის. ხოლო 1944 წელს ეს ტერმინი ინგლისელებმა გამოიყენეს სახელწოდებით „genocide". რაფაელ ლემკინი იყო იურისტი და მშვიდობის მკვლევარი, რომელიც ითვლება გენოციდის კონვენციის მამამთავრად. პოლონეთში გენოციდის დანაშაულს ასევე ეწოდება ludo-boestvo, რომელიც სიტყვა-სიტყვით ხალხის მკვლელობას შეესაბამება (lud-ხალხი, boestvo-მკვლელობა).

ამრიგად, სიტყვა „გენოციდი" უძველესი წარმომავლობისაა. ცალკეულ ქვეყნებში ამ დანაშაულის სახელწოდება განსხვავებულია. მაგ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით ამ დანაშაულს ეწოდება Völkermord. (Volk-ხალხი და Mord – მკვლელობა). ნიშანდობლივია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სსკ-ით განსაზღვრული ეს სახელწოდება სრულად ვერ ასახავს გენოციდის დანაშაულის შინაარსს, რადგან Volk შეესაბამება ხალხის ცნებას. ამ ტერმინს არ შეიძლება ჰქონდეს არც რასობრივ და არც რელიგიურ ჯგუფთან სრული იდენტურობის პრეტენზია, რადგან ხალხის ცნებაში შეიძლება მოიაზრებოდეს სხვადასხვა რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული

პირთა ჯგუფი, უფრო კონკრეტულად ხალხში შეიძლება მოიაზრებოდეს არა მხოლოდ ის ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც ჩადიან გენოციდის აქტს არამედ ისიც, ვინც უშუალოდ ჩადის გენოციდის დანაშაულს. ასე რომ, ჩემი სუბიექტური შეფასებით ხალხი ამ დანაშაულთან მიმართებაში გაცილებით ფართო ცნებაა.

ამდენად, ამ თვალსაზრისით, საქართველომ ინგლისისა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მსგავსად სრულიად მართებულად აირჩია ტერმინი „გენოციდი", რადგან სიტყვა gens, როგორც გენოციდის შემადგენელი ნაწილი, ძველი რომის იმპერიაში გამოიყენებოდა გვარისა და ტომის აღმნიშვნელ სიტყვად, გვარები და ტომები კი სწორედ ეროვნული, ეთნიკური ან რასობრივი ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფებს შეადგენდნენ. ამდენად, სიტყვას „ Gens" უფრო მეტი საერთო აქვს ეროვნულ, რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფთან ვიდრე სიტყვა Volk- ს, რომელიც ხალხს გულისხმობს. (ხალხის ცნებაში იგულისხმება როგორც ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფებიც. პოლიტიკური და ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფების თვითმყოფადობა კი „გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციით" არ მიიჩნევა გენოციდის ხელყოფის ობიექტად).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი „გენოციდი" წარმოადგენს ერთ-ერთ უნივერსალურ და მყარად დამკვიდრებულ ცნებას, რასაც ვერ ვიტყვით მისგან ნაწარმოებ ისეთ სიტყვებზე, როგორებიცაა „დემოციდი", „ეთნოციდი", „პოლიტიციდი"და სხვ. რომელნიც, თავის მხრივ, გენოციდის კვლევის ობიექტს წარმოადგენენ. ამდენად, საჭიროა თითოეული მათგანის ზოგადი ანალიზი.

1. გენოციდისაგან განასხვავებენ **დემოციდის** დანაშაულს როგორც ასრობრივი, ისე ეტიმოლოგიური თვალსაზრისით. აღნიშნული ტერმინი დამკვიდრებული იქნა ამერიკელი სოციოლოგის რუდოლფ რუმელის მიერ. რომელიც მასში მოიაზრებდა გაცნობიერებულ, დაგეგმილ და განხორციელებულ მასობრივ მკვლელობას ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის წინააღმდეგ.

დემოციდის ერთ-ერთ ნაირსახეობას განეკუთვნება გენოციდის დანაშაული. დემოციდს გაცილებით ფართო მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მასში მოიაზრება ხალხი. ხოლო სიტყვა-სიტყვით ამ დანაშაულს ხალხის მკვლელობა ეწოდება. გენოციდის შემთხვევაში კი ამ დანაშაულის ხელყოფის ობიექტად პირთა განსაზღვრული ჯგუფების (ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის) სიცოცხლე და თვითმყოფადობა მოიაზრება, მაშინ, როცა დემოციდის ობიექტია არა მხოლოდ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების სიცოცხლე, არამედ სხვა ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფების და სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლეც. ამ გაგებით ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიც დემოციდის ნიმუშია. გერმანიაში განხორციელებული მასობრივი მკვლელობა ევროპელი ებრაელების წინააღმდეგ წარმოადგენს დემოციდის კლასიკურ მაგალითს, რომელიც ჯდება მასობრივი მკვლელობისა და ეთნიკური წმენდის კრიტერიუმებში.

გერმანელი მეცნიერების თვალსაზრისით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ფართომასშტაბიანი საჰაერო თავდასხმები საცხოვრებელ რაიონებსა და სამოქალაქო მოსახლეობაზე წარმოადგენდა დემოციდის ნიმუშს, რომელსაც საკმაოდ მყარი სამხედრო სტრატეგია ედო სა-

ფუძვლად. მეცნიერულად დადგენილია, რომ XX საუკუნეში დემოციდის მსხვერპლი 169 მილიონი ადამიანი შეიქმნა.

ამრიგად, დემოციდი კრებითი ცნებაა და მას არ შეიძლება ჰქონდეს გენოციდის დანაშაულთან სრული იდენტურობის პრეტენზია.

2. XX საუკუნეში დამკვიდრდა ასევე ტერმინი სახელწოდებით **„ბიუროკრატიული გენოციდი"**. მიხაელ გეიერმა (ჩიკაგო) თავის მოხსენებაში „War and Genocide" თანამედროვე სახელმწიფოს მოდელზე დაყრდნობით ხაზი გაუსვა ხელისუფლების სრული მობილიზაციის აუცილებლობას გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, განსაკუთრებით კი ბიუროკრატიული გენოციდის პრევენციისთვის. ბიუროკრატიული გენოციდის ნათელი ნიმუში იყო თურქების მიერ სომხებზე განხორციელებული გენოციდი, რომელიც თურქეთის ახალგაზრდული პარტიის აქტივისტთა მიერ იქნა კოორდინირებული.

ბიუროკრატიული გენოციდის ორგანიზატორად ყოველთვის სახელმწიფო გვევლინება, რომელსაც გააჩნია ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა. მაგ: გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის პირობებში მოწყობილი მასობრივი ხოცვა ბიუროკრატიული გენოციდის კიდევ ერთი ნიმუშია.

3. ტერმინი **„კულტურული გენოციდი"** ევროპული სისხლის სამართლის მეცნიერებაში პირველად დამკვიდრდა, ჩინეთში ტიბეტელი ხალხის მიმართ მოწყობილი გენოციდის შემდეგ (ჩინეთში ტიბეტელთა მიმართ მოწყობილი გენოციდის მთავარი მოტივი იყო არა მხოლოდ მათი ეთნიკური კუთვნილება, არამედ კულტურული თვითმყოფადობაც). მოცემული გენოციდის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეს დანაშაული ხორციელდება ეროვნული,

რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ განსხვავებული კულტურულ-ისტორიული ტრადიციების და კულტურული თვითმყოფადობის გამო. კულტურული გენოციდის მთავარი მოტივია, არა ამა თუ იმ ეთნიკური, რასობრივი ან ეროვნული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის სიძულვილი, არამედ ასეთი ჯგუფის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების მიუღებლობა. როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კულტურული გენოციდი ჯდება გენოციდის დანაშაულის სავალდებულო კრიტერიუმებში.

4. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება ასევე ტერმინი სახელწოდებით „ეთნოციდი". ეთნოციდი გაცილებით ვიწრო ცნებაა ვიდრე ზემოთნახსენები ორი ტერმინი (გენოციდი, დემოციდი). ამ სიტყვას ხშირად გენოციდის დანაშაულის შემადგენელ ნაწილადაც მოიხსენიებენ, ვინაიდან სიტყვა-სიტყვით იგი ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მკვლელობის სინონიმს წარმოადგენს და გენოციდის ნაირსახეობას შეადგენს. მიუხედავად ამისა, ეთნოციდის დანაშაული ცალკეულ მეცნიერთა ინდივიდუალური განხილვის საგანს განეკუთვნება. ეთნოციდი გულისხმობს ენის, რელიგიის და კულტურის მოსპობას ამავე ენობრივები, რელიგიური და კულტურული ნიშნით გაერთიანებულ პირთა ფიზიკური და ბიოლოგიური განადგურების გარეშე. მშობლიური ენის აკრძალვა ან ბავშვის ეთნიკურ ჯგუფს ჩამოცილება ეთნოციდის ტიპიური ნიშანია. ეთნოციდის ნიმუშია ალჟირის არაბიზაცია, სადაც მოსახლეობის ერთი მესამედის (დაახლოებით 7 მილიონი) იძულებითი ენობრივი ასიმილაცია განხორციელდა.

5. ტერმინი „პოლიტიციდი" კი სიტყვა-სიტყვით პოლიტიკურ მკვლელობად განიმარტება. შესაძლებელია თუ

არა პოლიტიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მკვლელობა გენოციდის დანაშაულად ჩაითვალოს საკითხის მეორე მხარეა და ამის შესახებ წიგნის მეორე პარაგრაფში ვრცლად არის საუბარი. საერთაშორისო სამყაროში უკვე მიმდინარეობს ინტენსიური დიალოგი სიტყვა „გენოციდის" კიდევ უფრო გაფართოებაზე, რომლის ობიექტიც არა მხოლოდ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, არამედ სოციალური და პოლიტიკური ჯგუფების სიცოცხლე და თვითმყოფადობაც იქნება. პოლიტიკური ერთმმართველობისა და დიქტატურის პირობებში შეიძლება პოლიტიკური მრწამსით ან პოლიტიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობა ჩაითვალოს გენოციდის დანაშაულად. პოლიტიციდის დანაშაული ხშირად ასევე თავს იჩენს იმ სახელმწიფოებში, სადაც პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების ან ხელისუფლების უზურპაციის მიზნით პოლიტიკურ ძალთა შორის არსებობს შეიარაღებული დაპირისპირება, რაც შეიძლება, განსაზღვრული პოლიტიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრთა მასობრივ მკვლელობაში გამოვლინდეს. ამდენად, ამ დანაშაულს ხშირად საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობა ფორმალურად ატარებს გენოციდის დანაშაულის ნიშნებს და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით წარმოადგენს გენოციდის ანალოგიას, ხოლო დაწერილი საერთაშორისო სამართლით ის სხვა კატეგორიის დანაშაულია.

6. **„ეკოციდის"** ლეგალური დეფინიცია ასახულია საქართველოს სსკ-ის 409-ე მუხლში: „ეკოციდი ესე იგი, ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლა ან მცე-

ნარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია". ევროპაში დანერგილი პრაქტიკით კი ეკოციდად მიჩნეულია ბუნებრივი გარემო პირობების, კერძოდ ეკოლოგიური კატასტროფის მეშვეობით მოსახლეობის მასობრივი განადგურება.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 409-ე მუხლის აღწერილობითი დისპოზიცია სრულად ვერ ასახავს ამ დანაშაულს იმ ფორმით, რითაც გამართლდებოდა ეკოციდის დანაშაულის ფიქსაცია საქართველოს სსკ-ის XLVII თავში. (ეს თავი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთათვის).

თუ ქართველი კანონმდებლის შეხედულებით ეკოციდი მხოლოდ ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლაში ან ცხოველთა და მცენარეული სამყაროს მასობრივ განადგურებაში (და არა ბუნებრივი გარემო პირობების გაუარესებით ადამიანთა განადგურებაში) გამოიხატება, მაშინ გაუგებარია, რატომ ითვლება იგი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და რატომ არის ეს ქმედება მოცემული საქართველოს სსკ-ის XLVII თავში. მართებულია, იგი ჩამოყალიბდეს საქართველოს სსკ-ის XXXVI თავში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთათვის.

იმისათვის, რომ ეკოციდი (ტერმინი „ეკოციდი" სიტყვა-სიტყვით განიმარტება, როგორც ეკოლოგიური მკვლელობა) კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვალოს, მართებულია, მისი აღწერილობითი დისპოზიცია ასე განიმარტოს:

1. „ეკოციდი, ესე იგი განზრახ ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსის მოწამვლა ან ბუნებრივ გარემო პირობებზე ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მასობრივ განადგურებას ისჯება...

2. იგივე ქმედება, რამაც მოსახლეობის მასობრივი განადგურება გამოიწვია ისჯება...“

7. სიტყვა „**ბიოციდი**" ბერძნულ და ლათინურ სიტყვათა კომბინაციას განეკუთვნება (bios ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიცოცხლეს, ცხოვრების პროცესს, ხოლო ceadere ლათინურად განიმარტება როგორც მკვლელობა). იურიდიული გაგებით ბიოციდის ობიექტია ბიოკატალიზატორები, ჰორმონები, ტყის მასივები. ქიმიური ნაერთების და შხამქიმიკატების გამოყენება სამეურნეო დანიშნულებით არ ითვლება ბიოციდის დანაშაულად.

ისეთი შხამქიმიკატის გამოყენება, რომელიც მცენარეული სამყაროს, ტყის მასივების განადგურებას გამოიწვევს, ითვლება ბიოციდის დანაშაულად.

8. „**ეკონომიციდი**" ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფის წევრთა მასობრივ მკვლელობას მოიაზრებს.

ეკონომიციდისა და პოლიტიციდის მიმართ ევროპაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, იურიდიული თვალსაზრისით, გენოციდში მოვიაზროთ პოლიტიციდისა და ეკონომიციდის დანაშაული. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლით პოლიტიკური და ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობა ითვლება გენოციდის დანაშაულად. ამ მუხლის დისპოზიცია ასე განიმარტება: „გენოციდი ე. ი. ქმედება ჩადენილი ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური **ან სხვა რაიმე ნიშნით** გაერთიანებული ჯგუფის მთლია-

ნად ან ნაწილობრივ მოსასპობად...“ ცხადია, სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებში სწორედ ასეთი ჯგუფები იგულისხმებიან, მეორე მხრივ, თუ ამ პრობლემას საერთაშორისო სამართლის კუთხით მივუდგებით, აღმოვაჩენთ, რომ არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობა არ მიესადაგება გენოციდის შინაარსობრივ და იურიდიულ კრიტერიუმებს. როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, ისე გენოციდის თავიდან აცდენისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენცია პოლიტიკური და ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობის ფაქტს არ ცნობს გენოციდის დანაშაულად. ეს ორი საერთაშორისო დოკუმენტი გენოციდის ხელყოფის ობიექტად მოიაზრებს მხოლოდ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობას. ამასთან, ამა თუ იმ ეთნოსის, რასისა და ეროვნებისადმი კუთვნილება ადამიანის თანდაყოლილი ნიშანია, მაშინ, როცა რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჯგუფისადმი კუთვნილება შეძენილ ნიშანთვისებებს წარმოადგენს.

ეკონომიციდის დანაშაული მეტწილად ვლინდება იმ სახელმწიფოში, სადაც ქვეყნის ეკონომიკური ფორმაცია საზოგადოების ან საზოგადოების ცალკეული ჯგუფისათვის მიუღებელია. ცნობილია, რომ კაპიტალიზმის იდეა უპირისპირდება სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკურ საფუძველს და პირიქით. თუ კაპიტალიზმის პირობებში აღიარებული კერძო საკუთრების უფლება, სოციალისტური იდეოლოგია მას საერთო საკუთრების პრიმატით უპირისპირდება. ასეთ იდეოლოგიურ დაპირისპირებას ხშირად წმინდა ეკონომიკური მოტივი უდევს საფუძვლად, ხოლო თუ ეს დაპირისპირება განსაზღვრული

ეკონომიკური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობაში ვლინდება, მათი ეკონომიკური იდეოლოგიის ან ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სახეზე გვაქვს ეკონომიციდის დანაშაული.

9. **„ეთნიკური წმენდა"** არის რელიგიური ან ენობრივი ნიშნით გაერთიანებული მოსახლეობის ევაკუაცია, დევნა და მათი სიცოცხლის მოსპობა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას ერთმანეთთან აიგივებენ, მათ შორის არსებობს რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი. გენოციდი არის ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მკვლელობა. მისი მიზანია ასეთი ჯგუფის მოსპობა. ხოლო ეთნიკური წმენდის მიზანია ერთი ხალხის მოწყვეტა მისი ტრადიციების ან განსაზღვრული ტერიტორიისგან. ხშირად ეთნიკური წმენდის შედეგია ადამიანთა დეპორტაცია ლეგალური ან არალეგალური ხერხებით. ამდენად, ეთნიკური წმენდა გენოციდისაგან განსხვავდება თავისი მიზნით. თუ ეთნიკური წმენდა მასობრივ მკვლელობებს აერთიანებს იმ მიზნით, რომ ქვეყანა გაიწმინდოს ერთი ეთნიკური ან ეროვნული ჯგუფისაგან იგი კვალიფიცირდება გენოციდის დანაშაულად.

ეთნიკური წმენდა საკმაოდ ფართო ცნებაა და იგი საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, არ არის მოცემული. ეთნიკური წმენდა შეიძლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლს ან მუხლის ნაწილს აერთიანებდეს და ქმნიდეს დანაშაულის ერთობლიობას. მაგალითად, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლი), რაც გამოიხატება ადამიანთა დეპორტაციით, შეუძლებელია განხორციელდეს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვე-

ვის გარეშე (საქართველოს სსკ-ის 142-ე მუხლი). ამიტომ, ასეთ დროს, სახეზე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა.

ეთნიკური წმენდის მაკროსოციოლოგიური განმარტება. მაკროსოციოლოგიის მიხედვით სუსტად განვითარებულ სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას არ შეიძლება ჰქონდეს პლურალიზმის და ეთნოლოგიურ ფასეულობათა დაცვის პრეტენზია. ამ ტიპოლოგიაში ეთნიკური ჯგუფებისთვის თეორიული მოქმედების ასპარეზიც ისპობა და ვითარდება გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პირობები. იგი ხაზს უსვამს მსოფლიო ისტორიის ხუთსაფეხურიან სწავლებას, რომელშიც გაანალიზებულია ეთნიკური წმენდის სტრატეგია.

10. ტერმინი **„ქსენოფობია"** მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან და ნიშნავს უცხოს მიმართ შიშს, უცხოელისადმი მტრობას (xénos- უცხოელი, სტუმარი და phóbos-შიში). ქსენოფობია წა რმოადგენს სხვა ხა ლხებისა და ჯგუფებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთ ნიმუშს (უცხოური კულტურის, წარმოშობის და ენის გამო). იგი ვლინდება უცხოელთა მიმართ დაშინებაში, მუქარაში, მტრულად განწყობასა და ღირსების დამცირებაში. ქსენოფობიისაგან განასხვავებენ ტერმინს, სახელწოდებით, „ქსენოფილია", რომელიც წინამორბედი სიტყვის ანტონიმს შეადგენს და ნიშნავს უცხოს სიყვარულს, უცხოელის მოყვარეობას.

ქსენოფობიის ბიოლოგიური, კულტურული და ეკონომიკური საფუძველი.

<u>ბიოლოგიური საფუძველი</u>. რაფაელ ლემკინის სახელობის ქსენოფობიისა და გენოციდის კვლევითი ინსტიტუტის მიხედვით თითქმის ყველა სახის სულიერ არსებას გააჩნია საკუთარი ტერიტორიის „უცხოთაგან" დაცვის ინსტიქტი. ქსენოფობიის დროს ადამიანში სწორედ

ასეთივე ბიოლოგიური დეტერმინატები „იღვიძებს" და წარმოადგენს მის მამოძრავებელ საშუალებას.

<u>კულტურული საფუძველი</u>. ადამიანის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა მის მენტალიტეტში აისახება. საზოგადოების კულტურა და დომინირებული რელიგია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებისადმი უცხოელის დამოკიდებულებაზე. თანამედროვე კულტურული და დემოკრატიული ფასეულობების იგნორირება ხელს უწყობს ქსენოფობიურ რეაქციებს.

<u>ეკონომიკური საფუძველი</u>. საბაზრო ეკონომიკის განვითარება და ადგილობრივ მრეწველობაში უცხოური სტანდარტების დამკვიდრება, ისევე როგორც ახალი კულტურის ტრადიციულ კულტურაში შეღწევა, ადგილიბრივ მოსახლეობაში ბადებს შიშის ფაქტორს და უცხოელთა მიმართ წარმოადგენს კონტრ-არგუმენტს.

11. **მასობრივი მკვლელობა** გულისხმობს ადამიანთა ფართო მასშტაბიან და სისტემურ მკვლელობას სახელმწიფო აპარატის ან პირთა ჯგუფის მეშვეობით. გენოციდისაგან განსხვავებით მასობრივი მკვლელობის მიზანი არ არის ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების ან შეუწყნარებლობის გამო პირთა ჯგუფის მკვლელობა, ხოლო თუ მასობრივი მკვლელობა მოიცავს გენოციდის სავალდებულო ნიშნებს იგი ჩაითვლება გენოციდის დანაშაულად.

12. **სერიული მკვლელობა,** მასობრივი მკვლელობისგან განსხვავებით, ხშირად, ერთი ინდივიდის მიერ ხორციელდება გეგმაზომიერად, დროის გარკვეულ მონაკვეთში. სერიული მკვლელობა ხშირად ვლინდება მანიაკალურ ფორმებში. ეს მკვლელობა არ განეკუთვნება მასობრივ მკვლელობათა ნაირსახეობას, არამედ „მულტიციდის" (ლათ. მრავალჯერადი მკვლელობა) სახეობას შეადგენს.

როგორც ვხედავთ, გენოციდის გამომწვევი მიზეზები თავმოყრილია ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივში, თუმცა გენოციდის ყოველი გამოვლინება, ისტორიულ სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, ხასიათდება სპეციფიკური კუთვნილებითი ნიშნებით. სწორედ ამ ფაქტორმა მოახდინა არსებითი გავლენა გენოციდის კვლევითი ინსტიტუტების მიერ დამკვიდრებულ ტერმინთა ფორმირებაზე (ტოტალიტარული გენოციდი, ბიუროკრატიული გენოციდი, პოლიტიციდი, ეთნოციდი და სხვ.).

§ 2. გენოციდის ცნება და არსი

მსოფლიო საზოგადოების მიერ ადამიანთა საყოველთაო უფლებების აღიარებამ, განსაკუთრებით ამ უფლებათა უსაფრთხოების საშინაო და საერთაშორისო სტრუქტურული მექანიზმის შექმნამ, ადამიანის პერსონა წინა პლანზე დააყენა და განსაზღვრა მისი დაცვის სამართლებრივი საფუძვლები. სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობისა და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით შეიქმნა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედო ადამიანთა სტანდარტულ უფლებებს. ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითადი გარანტიები, თანასწორობა და ჰუმანურობის იდეა უმაღლეს რანგში იქნა აყვანილი.

იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციას ხელი მოაწერეს ან მისი რატიფიკაცია მოახდინეს,

ამით ფაქტიურად დაადასტურეს, რომ გენოციდი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დანაშაულს, რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მიუხედავად იმისა იგი ომიანობის დროს იქნა ჩადენილი თუ მშვიდობიანობის.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო სამყარო ღრმად დარწმუნდა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების კოდიფიკაციისა და მათი განუხრელი დაცვის აუცილებლობაში, რასაც, ცხადია, გააჩნდა თავისი ობიექტური საფუძველი, კერძოდ, ეთნიკური შუღლი, ეროვნული შეუწყნარებლობა, რასობრივი დისკრიმინაცია წარმოადგენდა მეოცე საუკუნის „ტრაგიკულ ფენომენს", რომელსაც სამართლებრივი რეგულირება სჭირდებოდა.

გენოციდის დანაშაული ნაცისტურ-სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირობებში იშვა და განვითარდა. იგი არ წარმოადგენდა ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებათა ხელყოფის პრიმიტიულ გამოხატულებას. გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის საწყის ეტაპზე უნდა შექმნილიყო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაადგენდა გენოციდის დანაშაულს და მის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს. ამასთან, ეს დანაშაული უნდა ჩამოყალიბებულიყო იმ ფორმით, რომლითაც იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდოდა „გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციასთან". ამ რთული მისიის შესრულება პირველად, 1948 წლიდან, გერმანიამ, ავსტრიამ, ბელგიამ და საფრანგეთმა ითავეს, რითაც მათ შექმნეს მსოფლიოში უპრეცენდენტო გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა და პასუხისმგებლობა გენოციდის დანაშაულისთვის კანონის ფარგლებში მოაქციეს.

ამდენად, ამ პრობლემის ღრმა ანალიზმა განსაზღვრა გენოციდის დანაშაულის შინაარსი და მისი იურიდიული ბუნება. თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბდა გენოციდის კვლევითი ინსტიტუტები (გერმანიაში, შვეიცარიაში), სადაც გენოციდი მოიაზრება არა მხოლოდ იურიდიულ პრობლემად, არამედ ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ეთნოლოგიური კვლევის ობიექტსაც წარმოადგენს. მაგალითისათვის, „რაფაელ ლემკინის სახელობის ქსენოფობიისა და გენოციდის კვლევითი ინსტიტუტი" წარმოადგენს ევროპაში შედარებითი გენოციდის პირველ კვლევით ცენტრს. ზემოხსენებული კვლევითი ინსტიტუტის გარდა 1998 წელს ბოხუმის უნივერსიტეტში დაფუძნდა „დიასპორისა და გენოციდის კვლევითი ინსტიტუტი", რომელიც სწავლობს გენოციდის დანაშაულის წარმომშობ ფაქტორებს და მეცნიერულ საწყისებზე დაყრდნობით აყალიბებს გენოციდის თავიდან აცილების სრულებით ახალ კონცეფციას. ამ ინსტიტუტის მიხედვით გენოციდი არის დესინტეგრაცია პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურის, ენის, რელიგიის, ეროვნული თვითმყოფადობის, ისევე როგორც იმ ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, რომელთაც განსაზღვრული ჯგუფების კუთვნილებითი ნიშნები აერთიანებთ. ეს ინსტიტუტი ასევე იკვლევს ანტისემიტიზმის პრობლემას, როგორც ებრაელების წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის მთავარ საფუძველს. „ქრონიკული ანტიიუდაიზმის" მთავარ არგუმენტად მოყვანილია: ა) რელიგიური და ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივი და ბ) პოლიტიკური საფუძველი.

გენოციდის ცნების განსაზღვრა თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის შეადგენს უმნიშვნე-

ლოვანეს ამოცანას, რაც ცხადია არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი მეცნიერებით.

ამასთან, შეუძლებელია გენოციდის დანაშაულის სრული ანალიზი. მართალია ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია და სხვ.) გენოციდის პრობლემებზე საკმაოდ მრავალი დაიწერა, თუმცა იმის გამო, რომ გენოციდი ამოუწურავი სამართლის ინსტიტუტია, იქმნება მხოლოდ კონკრეტული შინაარსის სახელმძღვანელოები. ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ხსნიან გენოციდის პრობლემებს. მაგალითად, „გენოციდის გენეზისი პოლონეთში", „გენოციდის შემადგენლობა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით", „გენოციდის პრევენცია". ეს შრომები სხვადასხვა ავტორთა მიერ ცალკე წიგნებად არის გამოცემული.

გენოციდის დანაშაული ამა თუ იმ სპეციფიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგალითად, ებრაელების წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის მთავარი მიზეზი იყო არა ის, რომ ისინი ადამიანთა გაერთიანებებს შეადგენდნენ, არამედ ის, რომ ებრაელები იყვნენ იუდეველები. თურქების მიერ 1917 წელს ჩადენილი გენოციდი გათვლილი იყო არა ადამიანთა ფართო მასებზე, არამედ სომხებზე, მათი ეთნიკური კუთვნილების გამო. მაშასადამე გენოციდის დანაშაული უნივერსალური ხასიათისაა.

სიტყვა „გენოციდი", როგორც წინა პარაგრაფში იქნა აღნიშნული, პირველად, როგორც საერთაშორისო დანაშაული დაამკვიდრა პოლონელმა რაფაელ ლემკინმა. იგი თავის წიგნში „Axid Rule in Occupied Europe" (1944 წ) გენოციდში მოიაზრებს კოორდინირებულ გეგმას, რაც ნაციონალური ჯგუფის, როგორც ასეთის, განადგურებას ისახავს მიზნად. ამასთან, ამ გეგმის მიზანია დესინტეგ-

რაცია პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურის, ენის, ეროვნულობის, ეკონომიკური თვითმყოფადობით გაერთიანებული ჯგუფების. ლემკინისეული გენოციდის ცნების განმარტებაში გადამწყვეტი ადგილი უკავია გენოციდის შედეგად პირთა ჯგუფის განადგურების მიზანს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი 1944 წელს დამკვიდრდა, მან კვალიფიციური ფორმა შეიძინა 1948 წელს, როცა მიღებული იქნა „გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენცია".

გენოციდი, როგორც ტერმინი და როგორც სართაშორისო დანაშაული XX საუკუნეში იქნა დამკვიდრებული, შესაბამისად მას სამართლიანად უწოდებენ მეოცე საუკუნის დანაშაულს.

გენოციდი, ჩადენილი ქმედების პერიოდიზაციის მიხედვით, შეიძლება დაეყოთ ორ ეტაპად: ა) მეორე მსოფლიო ომამდე და ომის პერიოდში მოწყობილი გენოციდი და ბ) გენოციდი, რომელიც განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერომ და მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გენოციდის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად შექმნა საკმაოდ მყარი სამართლებრივი გარანტიები, XX საუკუნის მეორე ნახევარი მაინც არ შეიძლება განვიხილოთ იმ პერიოდად, რომლის დროსაც ამ საერთაშორისო დანაშაულის ხვედრითი წილი არსებითად შემცირდა. გენოციდმა თავისი ტრაგიკული კვალი მეოცე საუკუნის ყველა ათწლეულს დაამჩნია.

გენოციდის გერმანელი მკვლევარი დაბაგ მირანი მიიჩნევს, რომ გენოციდი არის დაგეგმილი და მიზანმიმართული აქტი სპეციფიკური ნიშნით გამორჩეული საზოგა-

დოების წევრთა წინააღმდეგ, რომლის მიზანია სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა, სიცოცხლის მოსპობა, დეპორტაცია, განადგურება.

სრულებით განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს გენოციდის მეორე მკვლევარი ირვინ-რუის ჰორვინცი, რომლის შეხედულებითაც გენოციდი არის „ბიუროკრატიული აპარატის" მეშვეობით ჩადენილი სისტემური და სტრუქტურული აქტი უდანაშაულო მოსახლეობის განადგურების მიზნით. მისი შეხედულებით გენოციდის მთავარი წინაპირობაა ტოტალიტარული მმართველობის არსებობა.

გერმანელი მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გენოციდის დანაშაულს პრაგმატული, პოლიტიკური და შოვინისტური მოტივი უდევს საფუძვლად და ამ ფენომენს „მატერიალური ბაზისის" (**sachliche Basis**) სახელით მოიხსენიებენ.

ამასთან, ფრანკფურტის ფრიც-ბაუერის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი მიხა ბრუმელი ავითარებს გენოციდის საკმაოდ საინტერესო თეორიას. იგი ყურადღებას უთმობს ომის, რასიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებას და მიიჩნევს, რომ გენოციდი არის კარგად დაგეგმილი, გათვლილი და ორგანიზებული ბრძოლის ნაირსახეობა, რომელიც მხოლოდ სამხედრო ინტერვენციის საფუძველზე შეიძლება აღმოიფხვრას.

გენოციდის პრობლემას იკვლევს მეცნიერებათა დოქტორი, გერმანელი ფრანკ ზელბმანი, რომელმაც ლაიფციგის საერთაშორისო, ევროპული და საჯარო სამართლის უნივერსიტეტში წარმოადგინა სადოქტორო მოხსენება თემით „გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით". მისი შეხედულებით გენოციდის დანაშაულს თან უნდა სდევდეს ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის განზრახვა. ასეთი

განზრახვა უნდა იყოს შეკნებული, რომ ხორციელდება გენოციდის დანაშაული, რათა იგი გაიმიჯნოს, ქმედების შემადგენლობით, მსგავსი ტიპის დანაშაულთაგან (დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული და სხვ.). ზელბმანს მიაჩნია, რომ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის დევნა გენოციდის მაკვალიფიცირებელი ნიშანია, რადგან ასეთი ჯგუფის დევნა მათი არსებობისა და თვითმყოფადობის მოსპობას ისახავს მიზნად. გენოციდის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, გენოციდის განსაზღვრებისა და ცნების სრულყოფისთვის ეს მეცნიერი ყურადღებას სამ ძირითად ასპექტზე ამახვილებს: 1. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაფუძნება წარმოადგენს პოზიტიურ მოვლენას, იმ გაგებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ საქმეთა „არაეფექტური განხილვა"; 2. უნდა მოხდეს გენოციდის დანაშაულში მოაზრებულ ჯგუფის წევრთა რიცხობრივი კრიტერიუმების დადგენა; 3. გენოციდის მაკვალიფიცირებელ ნიშნად უნდა დადგინდეს კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობის იძულებითი მოშლა ან ასეთი ჯგუფის იძულებითი ასიმილაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გენოციდის ცნების განსაზღვრება წარმოადგენდა როგორც ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული მეცნიერების მთავარ ამოცანას, კერძოდ მასობრივ მკვლელობათა რომელ სახეობას შეიძლებოდა გენოციდის კვალიფიკაცია მისცემოდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს განეკუთვნება 1948 წლის 9 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „კონვენცია

გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ“.

შედარებითი ანალიზისათვის საყურადღებოა ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის აღწერილობითი დისპოზიცია, რომელიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის გენოციდის დანაშაულზე.

საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, გენოციდად ით ვლება ქმედება, ჩა დენილი შ ეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში.

გენოციდის დანაშაულისას მთავარია არა ის, რომ ეს ქმედება ჯგუფის წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ ის, რომ ასეთი ჯგუფის მიმართ ჩადენილი გენოციდი მათი ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების გამო ხორციელდება.

როგორც ჩანს, ეს ქმედება უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ნორმალურ განვითარებას და ამ დანაშაულისათვის სანქციის ზომად განკუთვნილია 8-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, რაც ცხადია, შეესაბამება „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციის“ მეხუთე მუხლს, რითაც ამ კონვენციის დებულებათა ძალაში შესვლისათვის ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან განახორციელონ საჭირო საკანონმდებლო

ცელილებები, კერძოდ, დააწესონ ეფექტური სასჯელი იმ პირთა დასასჯელად, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან გენოციდის ჩადენაში.

ზემოხსენებული კონვენციით კი გენოციდში მოიაზრება ქმედებები, რომლებსაც სჩადიან იმ განზრახვით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპონ რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, როგორც ასეთი:

1. ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
2. ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი მოშლილობის მიყენება;
3. რომელიმე ჯგუფისათვის წინასწარგანზრახვით ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთლიანად ან ნაწილობრივ მისი ფიზიკური განადგურებისაკენ;
4. ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ასეთი ჯგუფის წრეში შობადობის შემცირება;
5. ბავშვის იძულებით გადაცემა ერთი ჯგუფიდან მეორეში.

ამავე კონვენციის მესამე მუხლით დასჯადად გამოცხადებულია:

1. გენოციდი;
2. შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით;
3. პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისაკენ;
4. გენოციდის ჩადენის მცდელობა;
5. გენოციდში თანამონაწილეობა.

აღნიშნული კონვენცია ფრიად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გენოციდის დანაშაულზე, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სსკ-ის 407-ე მუხლის აღწერილობით დისპოზიციაზე, რომელიც ამ დანაშაულის სწორი იურიდიული

კვალიფიკაციისათვის აუცილებლად დასაბუსტებელია. მაგალთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის აღწერილობითი დისპოზიცია ასე იწყება: „გენოციდი ე. ი. ქმედება შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად“.

როგორც ვხედავთ, თუ არ არსებობს შეთანხმებული გეგმა ორ ან რამდენიმე პირს შორის იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვერ დაკვალიფიცირდება გენოციდის დანაშაულად, რადგან საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის დისპოზიციაში ჩამოყალიბებული განმარტებიდან გამომდინარე იგი არ შეიძლება ერთმა პირმა ჩაიდინოს, რაც ცხადია ამ მუხლის საკმაოდ სერიოზული ხარვეზია. ამის ნათელი ნიმუშია ისიც, რომ ზემოხსენებული კონვენციით შეთანხმებული გეგმა არ წარმოადგენს გენოციდის დანაშაულისათვის სავალდებულო ნიშანს. ამდენად, ეს კონვენცია გამორიცხავს გენოციდის ჩადენას მხოლოდ შეთანხმებით ან მხოლოდ პირთა ჯგუფის მიერ. ჩემი აზრით, გენოციდის კონვენციის ეს განმარტება საკმაოდ მართებულია, რადგან გენოციდი შესაძლოა არც კი იყოს წინასწარშეთანხმებული გეგმის განხორციელების შედეგი. ამ პოზიციის გასამყარებლად მართებულია დავეყრდნოთ ამავე კონვენციის მესამე მუხლს, რომლის თანახმადაც დასჯადია არა მხოლოდ გენოციდის ფაქტი, არამედ პირდაპირი და საჯარო წაქეზებაც გენოციდის ჩადენისაკენ. საჯარო წაქეზება კი შეიძლება განახორციელოს შეთანხმებული გეგმის გარეშე ერთმა პირმაც. ამდენად, თუ მოსამართლე პასუხისმგებლობისაგან პირს იმ მოტივით გაათავისუფლებს, რომ გენოციდის ჩასადენად არ არსებობს შეთანხმებული გეგმა, ამით იგი დაარღვევს ზემოხსენებულ კონვენციას, რომელიც სამართლის ნორმათა

სტრუქტურაში უფრო მაღალი იერარქიული ძალისაა ვიდრე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

ამრიგად, საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის აღწერილობითი დისპოზიციიდან „შეთანხმებული გეგმა“ ამოსაღებია. მართებულია გენოციდის აღწერილობითი დისპოზიცია ასე განიმარტოს: „გენოციდი ე. ი. ქმედება ჩადენილი განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად“, და არა შეთანხმებული გეგმისა.

სიტყვა „შეთანხმების" მიზანშეუწონლობის პარალელურად ამ დანაშაულთან მიმართებაში არასწორად მიმაჩნია ასევე ტერმინი „გეგმის" გამოყენებაც. გეგმაში იგულისხმება წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემა, რაც უნდა განხორციელდეს. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ გეგმა ყოველი გენოციდის აქტის წინმსწრები მოვლენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ არსებობს გეგმა, ე.ი. წინასწარ შემუშავებული ღონისძიებების სისტემა გენოციდის ჩასადენად, თუნდაც სახეზე გვქონდეს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მოლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის ფაქტი, იგი გენოციდის დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის მეორე სერიოზულ ხარვეზად მიმაჩნია. ამ ხარვეზის აღმოფხვრის აუცილებლობაში ღრმად დამარწმუნა იმ ფაქტმაც, რომ მსოფლიოში გენოციდის მრავალი ისეთი შემთხვევა არსებობდა, როცა გენოციდის ფაქტი ხორციელდებოდა არა შეთანხმებული გეგმის, არამედ კონკრეტული მიზნის საფუძველზე. სწორედ ამიტომ, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციაში" სიტყვა „გეგმა"

საერთოდ არ ფიგურირებს და შესაბამისად არ წარმოადგენს ამ დანაშაულის სავალდებულო ნიშანს.

როგორც აღინიშნა, ზემოხსენებული კონვენციით დასჯადად გამოცხადებულია: ა) გენოციდი; ბ) შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით; გ) პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისაკენ; დ) გენოციდის ჩადენის მცდელობა; ე) გენოციდში თანამონაწილეობა.

ეს კონვენცია არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გენოციდის მზადებისათვის, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისთვის. გენოციდი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას ეკუთვნება და ამდენად, შიდა კანონმდებლობით ეს ქმედება ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც კანონის შემფარდებელს უქმნის კიდევ ერთ პრობლემას.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით, რომელიც ზემოხსენებული კონვენციით დასჯადი ქმედებაა, დანაშაულის მომზადების იდენტურია და ამის გათვალისწინებით ზემოხსენებული გარემოება ვერ ჩაითვლება საქართველოს სსკ-ის ხარვეზად. ე.ი. მეცნიერთა ეს ჯგუფი შეთქმულებას გენოციდის ჩასადენად და გენოციდისათვის მზადებას ერთსა და იმავე კატეგორიად განიხილავს, რაც საკითხისადმი აშკარად არასწორ მიდგომად მიმაჩნია. მომზადებაში იურიდიულად იგულისხმება პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად. ამასთან, მომზადებას შესაძლოა თან ახლდეს შეთქმულება, მაგრამ მომზადების სტადიაზე ხშირად შეთქმულებას შესაძლოა არც კი ჰქონდეს ადგილი და მომზადება განხორციელდეს შეთქმულების გარეშე.

ამ კონტექსტში შეთქმულება შეიძლება განვიხილოთ მომზადების იდენტურად, მაგრამ მომზადება არ შეიძლება განვიხილოთ შეთქმულების იდენტურად. როგორც ცნობილია, დანაშაულის მომზადება გაცილებით ფართო ცნებაა ვიდრე შეთქმულება. მომზადება შეიძლება შეთქმულებასაც აერთიანებდეს, თუმცა შეთქმულება არ წარმოადგენს მომზადების სავალდებულო ნიშანს. თუ ჩვენ შეთქმულებას და მომზადებას ერთ ასპექტში განვიხილავთ მაშინ გამოირიცხება დანაშაულის მომზადება ერთი პირის მიერ, რომ დანაშაულის მომზადებას აუცილებლად თან უნდა სდევდეს რამდენიმე პირის აქტიური მოქმედება და მათი შეთქმულება, ეს გარემოება კი გამორიცხავს როგორც მომზადების შინაარსს, ისე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფუძემდებლურ პრინციპს. მაგ: სამხედრო ძალების მთავარსარდალმა ხელთ ეპყრა რა საკმაოდ მყარი შეიარაღება შექმნა შესაბამისი პირობები გენოციდის დანაშაულის ჩასადენად სხვა ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ, მაგრამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იგი დააკავეს ვიდრე სისრულეში მოიყვანდა ამ ქმედებას. არ არსებობს შეთქმულება, თუმცა სახეზე გვაქვს გენოციდის დანაშაულის მომზადება.

ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლაკონურად და იმპერატიულად მოითხოვს ყველა სახელმწიფოსგან მტკიცედ დაიცვან ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებანი და კრძალავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამართლებას თავისი საშინაო სამართლის დებულებებზე მითითებით. ასეთი აქტი განიხილება, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რომელიც ნორმის დამრღვევის საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოშობს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის ზემოხსენებულ კონვენციასთან, ამიტომ, მართებული იქნება ამ მუხლის დასასრულს, შენიშვნის სახით ჩამოყალიბდეს ზოგადი ფორმულა: „გენოციდის დანაშაულის მომზადებისათვის პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ ამ დანაშაულის მომზადების სტადიაზე ადგილი არა აქვს შეთქმულებას გენოციდის ჩადენის შესახებ, ან საჯარო წაქეზებას გენოციდის ჩადენისაკენ, ანდა თუ მომზადება არ მოიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს".

საქართველოს სისხლის სამართლის 407-ე მუხლით და „გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის" კონვენციით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს განეკუთვნება ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის არსებობის უფლება, ე.ი. ასეთი ჯგუფების სიცოცხლე და თვითმყოფადობა.

გენოციდის დანაშაული განსხვავდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ" პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისაგან. კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ" პუნქტში მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებულია მისი ჩადენა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. მსგავსების მიუხედავად, ეს ქმედება განსხვავდება გენოციდის დანაშაულისაგან როგორც მიზნით, ისე ფინალური შედეგით: ა) 109-ე მუხლის „მ" პუნქტის მიხედვით მკვლელობის მიზანია ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური შეუწყნარებლობის გამო პირის მკვლელობა, მაშინ, როცა გენოციდის მიზანია ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი და ნაწილობრივი მოსპობა; ბ) 109-ე მუხლის „მ" პუნქტით მკვლე-

ლობა ამ დანაშაულის საკალდებულო ნიშანია, ე.ი. ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება მკვლელობის მომენტიდან, მაშინ, როცა გენოციდის დანაშაული დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მკვლელობათა სერია არ განხორციელებულა. მაგ: ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფისათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნა, ასეთ ჯგუფში შობადობის შემცირება ან ბავშვის ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში გადაცემა ითვლება დამთავრებული გენოციდის დანაშაულად.

გენოციდი განსხვავდება ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისგანაც (საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლი) როგორც მოტივით, ისე მიზნით. გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საერთო მახასიათებელი ნიშნებია: ა) ადამიანთა მკვლელობა; ბ) მათი მასობრივი განადგურება; გ) ადამიანთა ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენება; დ) ორივე საერთაშორისო დანაშაულია.

გენოციდს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისაგან განსხვავებით საფუძვლად უდევს: ა) ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი, მაშინ როცა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ხშირად წითელ ზოლად გასდევს პოლიტიკური მოტივი; ბ) გენოციდის დანაშაულის მიზანია ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მოსპობა. მაშინ, როცა 108-ე მულით გათვალისწინებული დანაშაულის ხელყოფის ობიექტია არა ზემოხსენებული ჯგუფების, არამედ სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრ-

თელობა. შესაბამისად, მისი მიზანია სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა და არა ზემოხსენებულ ჯგუფებზე.

გენოციდის ობიექტი

საქართველოს მოქმედი სსკ-ით თუ ვიმსჯელებთ გენოციდის ობიექტია ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უფრო ზუსტად, ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მათი ღირსება და პატივი. ამასთან გენოციდის ხელყოფის ობიექტი, ესე იგი ჯგუფი, რომლის თვითმყოფადობის წინააღმდეგაც განხორციელდა გენოციდი, შეიძლება იყოს როგორც ქვეყნის შიგნით მცხოვრები უმცირესობა, ისე უმრავლესობა.

გენოციდი, როგორც ცნობილია, მიმართულია გარკვეული ეროვნული, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ, ამდენად გენოციდის ობიექტის სისტემური დახასიათება აუცილებლად მოითხოვს ისეთი ფენომენის ამოხსნას, როგორიცაა პირთა ჯგუფი, კერძოდ რა იგულისხმება ჯგუფის ცნებაში, პირთა რა სახის გაერთიანება შეიძლება ჯგუფად მოვიხსენიოთ.

რაფაელ ლემკინი „ჯგუფს" განმარტავს, როგორც ერთობას, რომელიც სამართლებრივ დაცვას საჭიროებს. მის სინონიმად ხშირად, მხოლოდ უმცირესობათა ჯგუფებსაც მოიხსენიებენ, რაც ცხადია არასწორია, რადგან ცალკეულ შემთხვევაში გენოციდის ხელყოფის ობიექტი შეიძლება უმრავლესობის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თვითმყოფადობაც აღმოჩნდეს, რის თვალნათელ დასტურსაც აფხაზეთის ცნობილი მოვლენებიც წარმოადგენს.

ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური განმარტება. ადამიანთა ყველა სოციალური ჯგუფი მიისწრაფვის გარე-სამყაროში შეიქმნას პოზიტიური წარმოდგენა (ავტოსტერეოტიპი), ხოლო მოწინააღმდეგე ჯგუფზე შექმნას მტრის იმიჯი (ჰეტეროსტერეოტიპი). ჯგუფის აგრესია ვლინდება სხვა კუთვნილებითი ნიშნით გამორჩეული ჯგუფისადმი მტრობაში. სოციალური ფსოქოლოგიის დაუწერელმა კანონებმა, ჯერ კიდევ, ადრეულ ხანაში მოახდინა ჯგუფების ფორმირება, რაც ნაკარნახევი იყო ადამიანთა თვითგადარჩენის ინსტიქტით. სოციალურ-ფსიქოლოგიური განმარტებით რასიზმის, ტრიბალიზმის და ანტისემიტიზმის ფესვები უნდა ვეძიოთ არა ამ ჯგუფების განსხვავებულ ბიოლოგიურ წარმომავლობაში, არამედ მათი კულტურის თვითმყოფადობაში.

ეროვნული ჯგუფების ცნებაში იგულისხმება ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომელთაც აქვთ საერთო ენა, საცხოვრებელი ტერიტორია, ახასიათებთ ფსიქიკისა და კულტურის სხვა თავისებურებანი, წარმოადგენენ კონკრეტულ ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე დასახლებულ ეროვნულ ერთიანობას. ხშირად, მეცნიერულად და სხვადასხვა სარწმუნო წყაროების საფუძველზე დგინდება ეროვნებათა ნათესაური კავშირები, მსგავსი კულტურული ტრადიციები და წარმომავლობის ერთიანობა. ამის ნიმუშად მეცნიერებს მოჰყავთ ბასკებისა და ქართველების ეროვნული სიახლოვის მაგალითი, რაც სამართლებრივ ცხოვრებაში არ არის ერთი ეროვნების განმსაზღვრელი ფაქტორი, რადგან თუ ბასკების წინააღმდეგ ხორციელდება გენოციდი ეს არ იქნება ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის იდენტური.

ეთნიკურ ჯგუფად ითვლება ამა თუ იმ ტომთან ან ხალხთან ეთნიკურად დაკავშირებული ჯგუფი, რომლის

წევრებიც კომპლექსურად არიან დასახლებულნი აქვთ საერთო ენა კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, წესჩვეულება. თუმცა ისტორიული განვითარების მანძილზე ისინი არ წარმოადგენენ ხანგრძლივად ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა მყარ გაერთიანებას. ეთნიკური ჯგუფის სინონიმად ხშირად იხმარება ამა თუ იმ ტერიტორიის პე რიფერიებზე მცხოვ რები ად ამიანთა ჯგუ ფი. ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ა) ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა გაერთიანება, რომელნიც წარმოიშვნენ ერთი ფუძიდან; ბ) სპეციფიური, განსხვავებული კულტურა, ამ ეთნოსისათვის დამახასიათებელი ენა, საერთო წარმოდგენები ბუნებასა და სამყაროზე (კოსმოლოგია); გ) ისტორიულად მრავალი წლის მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციები, ჩვეულებები, რიტუალები, მითები (საერთო წარმოშობის შესახებ); დ) სოლიდარობა.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ეთნიკური ჯგუფების ორ კლასიფიკაციას:

ენობრივი ოჯახი გენეოლოგიური კლასიფიკაცია;

ენობრივი კავშირი გეოგრაფიული კლასიფიკაცია;

ეთნოლოგიური სკოლის ბერმანელი წარმომადგენელი ციმერმანი ეთნიკური ჯგუფის მახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევს საერთო წარმომავლობას, საერთო რასას, ერთიან კულტურას, რელიგიას და ენას. ციმერმანისაგან განსხვავებით ეთნოლოგთა დიდი ნაწილი ასაბუთებს, რომ ასეთი ჯგუფების აუცილებელ მახასიათებლად არ შეიძლება ერთი რელიგია მივიჩნიოთ, ვინაიდან კოლონიზაციის ვითარებაში ეთნიკური ჯგუფისაგან განსხვავებულ რელიგიას გააჩნია საკმაოდ მყარი ადაპტაციის უნარი, იგი გავლენას ახდენს ამ ეთნოსზე და რადიკალურად ცვლის მის მრწამსს კოლონიალიზმის შედეგად შემოსული რე-

ლიგიის ზეგავლენით. ამრიგად, რელიგია არ შეიძლება იყოს ერთი ეთნოსის განმსაზღვრელი ნიშანი.

მარსელ ნიგლი თავის ნაშრომში „რასობრივი დისკრიმინაცია", ეთნოსის ცნებას განსაზღვრავს, როგორც მოსახლეობის სეგმენტს, რომელსაც საერთო ისტორია, მემკვიდრეობა, საერთო ტრადიციები, ქცევის წესები და სასაუბრო ენა გააჩნია.

იურიდიულ მეცნიერებაში ეროვნული და ეთნიკური ჯგუფის ერთმანეთისგან გამიჯვნა არა მხოლოდ კანონის შემფარდებელს, არამედ კვალიფიციურ მეცნიერ-მუშაკებსაც უჭირთ, რადგან ამ ორ ფენომენს შორის საკმაოდ დიდია მსგავსება. ევროპელი გენოციდის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეროვნული ჯგუფის შემთხვევაში მკაცრად არის დაცული „ტერიტორიულობის" პრინციპი. ეროვნულ ჯგუფებს მათი წარმოშობიდან დღემდე აერთიანებთ ერთ ტერიტორიაზე მყარად ცხოვრების საერთო ეროვნული საფუძველი, რაც ცალკეულ შემთხვევაში, ეთნიკურ ჯგუფებს არ ახასიათებთ (მაგ: ქურთების, ბოშების ცხოვრების ტრადიცია ისტორიულად არ ემყარება ერთ ტერიტორიაზე მყარად ცხოვრების საერთო ეროვნულ საფუძველს).

რელიგიური ჯგუფის განხილვის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით მსოფლიოში დომინირებს ოთხი რელიგია, ესენია: ქრისტიანობა, ბუდიზმი, მაჰმადიანობა, იუდაიზმი. ამ ფაქტორის მიუხედავად მსოფლიოში საკმაოდ მყარად დამკვიდრდა ცალკეული რელიგიური მიმდინარეობებიც, რომელნიც დომინირებულ რელიგიასთან ერთად თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. მეცნიერთა ცალკეული ნაწილი რელიგიურ ჯგუფს მიაკუთვნებს „ადამიანთა განსაზღვრულ ერთობას", რომელიც საზოგადოებაში დომინირებული რელიგიისგან განსხვავებით აღიარებს სხვა რელიგიურ მიმდინარეობას. ამ პოზი-

ციას აკლია მეცნიერული არგუმენტაცია და ამდენად არ შეიძლება იგი სრულად გავიზიაროთ. რელიგიურ ჯგუფს შეიძლება საზოგადოებაში შეადგენდეს, როგორც დომინირებული რელიგია, ისე რელიგიური უმცირესობა. ამასთან, მსოფლიო გენოციდის ისტორია იცნობს არაერთ ისეთ შემთხვევას, როცა, გენოციდის ხელყოფის ობიექტს საზოგადოებაში დომინირებული რელიგიის ან რელიგიური უმრავლესობის წევრთა სიცოცხლე და თვითმყოფადობა შეადგენს. გენოციდის გერმანელი მკვლევარები ავითარებენ საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ათეისტური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება, თუ იგი მოიცავს გენოციდის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, ითვლება რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაულად. თუმცაღა ეს ჯგუფი არ არის ოფიციალური რელიგიური საფუძვლით გაერთიანებული პირთა ერთობა, მაგრამ მათი იდეოლოგია უპირისპირდება სხვათა რელიგიურ მრწამსს და უარყოფს ღვთის არსებობას.

რასობრივ ჯგუფს კი შეადგენს ადამიანთა ის წრეები, რომელთაც გარეგნული აღწერილობით (კანით, ფერით, თმებით, თვალებით, სიმაღლით) და სხვა ისტორიულ- ინდივიდუალური კუთვნილებით თავიანთი დამოუკიდებელი სახე გააჩნიათ. ყველა ცოცხალი არსების მსგავსად ადამიანს გააჩნია თავისი კუთვნილებითი გენეოლოგია, იგი დროსა და სივრცეში იძენს სპეციფიკურ მახასიათებელ ნიშნებს, მასზე გავლენას ახდენს დროის ფაქტორი და გეოგრაფიული გარემო პირობები. სწორედ ამ განსხვავებულმა გეოგრაფიულმა, ატმოსფერულმა, სივრცობრივმა და ევოლუციურმა პროცესებმა ჩამოაყალიბა ადამიანთა რამდენიმე გარეგნული და თვისობრივი ტიპოლოგია. ამის შედეგად სამყაროში მოხდა რასობრივი ჯგუფების ფორ-

მირება. ადამიანს გამოუმუშავდა შესაბამის გარემო პირობებთან ადაპტაციის უნარი. ასეთი ჯგუფების იდენტიფიკაციის მთავარ ნიშანთვისებას წარმოადგენს მათი რასობრივი დიფერენციაცია. მაშასადამე, რასა წარმოადგენს ბუნების კანონებით განპირობებულ, ევოლუციური პროცესების შედეგად ფორმირებულ ადამიანთა ერთიანობას. რასობრივი ჯგუფი ფართო ცნებაა და ჩვენ სამყაროში მცხოვრები ხალხების ინდივიდუალური კუთვნილების გამომხატველ სინონიმადაც იხმარება. რასობრივ დიფერენციაციას ხელს უწყობს კლიმატური პირობები, ქვეყნების კონტინენტური დანაწევრება და სხვა ფაქტორები. მაგალითად აზიის რამდენიმე სახელმწიფოში: ჩინეთში, ვიეტნამში, კორეაში და იაპონიაში მცხოვრებნი გამოირჩევიან მკვეთრად გამოხატული თვალის მოყვანილობით. აფრიკის კონტინენტზე კი ხალხთა დიდი უმრავლესობა შავ რასას განეკუთვნება. თუმცა რასობრივი დიფერენციაცია მხოლოდ კონტინენტური დანაწევრებით არ შემოიფარგლება, რადგან ადამიანთა სტანდარტული უფლებების აღიარებამ ყველას მისცა უფლება აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი ნებისმიერ ქვეყანაში. თითქმის დღემდე შემორჩენილია ადამიანთა რასობრივი კლასიფიკაცია, რითაც განისაზღვრებოდა მაგალითად თეთრი რასის უპირატესობა შავ რასაზე, ისევე როგორც სხვა მახასიათებელი ნიშნებით. ზემოხსენებულიდან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ტერმინი „რასობრივი კლასიფიკაცია“ ისტორიული და პოლიტიკური ბრძოლის შედეგად წარმოქმნილი ცნებაა. სწორედ რასიზმმა დაუდო საფუძველი რასობრივი ჯგუფების შესწავლის აუცილებლობას და არა პირიქით. რასიზმის სინონიმად ადამიანთა ცნობიერებაში დამკვიდრდა ასევე ტერმინი „ანტისემიტიზმი“.

გერმანელი მეცნიერები გენოციდის ობიექტთან დაკავშირებით ავითარებენ საკმაოდ საინტერესო პოზიციას, რომლის მიხედვითაც გენოციდად ვერ განიხილება ისეთი ქმედება, რომელიც მართალია მიზნად ისახავს ჯგუფის წევრთა განადგურებას, მაგრამ არა ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. მასობრივი მკვლელობა, რომელიც სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული არ წარმოადგენს გენოციდის დანაშაულს.

ასე რომ, გენოციდის დანაშაულის დადგენისას ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ის, თუ რამდენად შეიძლება გენოციდის დანაშაულის ობიექტად, მარტივად რომ ვთქვათ ამ დანაშაულის მსხვერპლად, ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ჯგუფის გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფებიც განვიხილოთ.

თუ საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის აღწერილობით დისპოზიციას დავეყრდნობით, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფებიც შეიძლება გენოციდის ობიექტად მოიაზრებოდეს. მართალია, ამის შესახებ კოდექსში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ განმარტებულია: „გენოციდი ე. ი. ქმედება რომელიმე ეროვნული, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად". ამდენად, „სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი" დისპოზიციაში, ჩემს მიერ ზემოხსენებულ ჯგუფებზე მიუთითებს. სამწუხაროდ, საქართველოში არც ერთი ავტორი არ უსვამს ხაზს ამ მეტად პრინციპულ საკითხს, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ეთანხმებიან კოდექსისეულ განმარტებას, მაგრამ არ განსაზღვრავენ რა იგულისხმება სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფში.

გენოციდის თავიდან აცდენისა და დასჯის კონვენციის შესაბამისად, ამ დანაშაულის ხლყოფის ობიექტად განიხილება მხოლოდ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობა(და არა სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფები, როგორც ეს საქართველოს სსკ-შია განმარტებული). ეს გარემოება კი ქმნის კიდევ ერთ შეუსაბამობას საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას შორის. ამდენად, კოდექსში ეს ხარვეზიც გასასწორებელია.

გენოციდის ობიექტური მხარე

გენოციდის ობიექტური მხარე გამოიხატება ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრთა მკვლელობაში. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნაში, შობადობის ძალით შემცირებაში ან ბავშვის იძულებით გადაცემაში ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში.

ნიშანდობლივია, რომ ამ დანაშაულის საკალდებულო ნიშანს წარმოადგენს განზრახვა ჯგუფის წევრთა განადგურებისა, ამიტომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, თუნდაც სახეზე იყოს გენოციდის ცალკეული ნიშანი, ამ დანაშაულად ვერ ჩაითვლება.

ამასთან, თუ გენოციდის დანაშაულს არ ახლავს ჯგუფის მოლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მიზანი, თუნდაც სახეზე იყოს გენოციდის მაკვალიფიცირებელი ნიშნები, იგი გენოციდის დანაშაულად ვერ ჩაითვლება. ასე რომ, გენოციდად ვერ განვისილავთ ისეთ ქმედებას, რომელიც მიმართულია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ, თუმცა მიზნად არ ისა-

ხავს ასეთი ჯგუფის მოსპობას. ასეთი ჯგუფების მიმართ ჯანმრთელობის დაზიანება, შობადობის შემცირება ან ბავშვის იძულებითი გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გენოციდად თუ მას საფუძვლად ედო ასეთი ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზანი.

ცხადია, ჯგუფის წევრთა მკვლელობა თავის თავში მოიაზრებს ჯგუფის წევრთა მასობრივ მკვლელობას, რომელიც მეცნიერული თვალსაზრისით არ წარმოადგენს რთულად ამოხსნად პრობლემათა კატეგორიას. მთავარია, ასეთ დროს დავადგინოთ ჯგუფის წევრთა მკვლელობა რა ინტენსივობით და რა მასშტაბებით ხორციელდება. ამ საკითხის დადგენას პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია იმისათვის, რომ გენოციდის დანაშაული გაიმიჯნოს ისეთი სისხლისსამართლებრივი ქმედებისაგან, როგორიცაა რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც თავისი მასშტაბებით არ შეიძლება იყოს გენოციდის დანაშაულის იდენტური. მიუხედავად იმისა, რომ რასობრივი დისკრიმინაცია ჰგავს გენოციდის დანაშაულს, ამავე დროს, იგი არსებითად განსხვავდება მისგან.

1. გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში 407-ე მუხლით განსაზღვრული ჯგუფის მთლაინად ან ნაწილობრივ მოსპობის მიზანი წარმოადგენს ამ დანაშაულის სავალდებულო ნიშანს, მაშინ, როცა რასობრივი დისკრიმინაცია ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით და შესაბამისად სავალდებულო არ არის ამ დანაშაულისათვის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება.

2. გენოციდის დროს ეს ქმედება მიმართულია 407-ე მუხლით განსაზღვრული ჯგუფის წინააღმდეგ, მაშინ, რო-

ცა რასობრივი დისკრიმინაცია ხორციელდება არა ჯგუ-ფის, არამედ კონკრეტულ პირთა წინააღმდეგ.

3. რასობრივი დისკრიმინაციისას ხორციელდება რასის, კანის, ფერის, სოციალური კუთვნილებით, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით ადამიანთა უფლებების შეზღუდვა, მაშინ, როცა გენოციდის შემთხვევაში ადგილი აქვს უფლებების არა შეზღუდვას, არამედ, უხეშ, პირდაპირ დარღვევას, ამ უფლებათა სრულ იგნორირებას და პირველხარისხოვანი სიცოცხლის უფლების ხელყოფას;

4. გენოციდი განეკუთვნება საერთაშორისო დანაშაულს, მაშინ, როცა რასობრივი დისკრიმინაცია შიდასახელმწიფოებრივი დანაშაულია.

ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი მოშლილობის მიყენება ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. ამასთან, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც გენოციდის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია, ჯანმრთელობის სერიოზულ მოშლას გულისხმობს, რომელიც ფიზიკურთან ერთად სულიერ ტრავმაშიც შეიძლება გამოვლინდეს. ასე რომ, სულიერი ტრავმა განიხილება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად.

ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნა შეიძლება გამოიხატებოდეს ეკონომიკურ ბლოკადაში. ვთქვათ, პირთა ჯგუფმა, რომელიც გენოციდს ახორციელებს იცის, რომ ამ ქმედებას შედეგად მოჰყვება კონკრეტულ ტერიტორიაზე დასახლებული ჯგუფების განადგურება, კერძოდ, მათ წაერთმევათ ცხოვრებისა და არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები. ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნაში იგულისხმება ასევე იმ საქმიანობის აკრძალვა, რომელიც ამ პირთა არსებობის მთავარი წყაროა.

შობადობის ძალით შემცირებაში შეიძლება ვიგულისხმოთ იძულებითი სტერილიზაცია, კასტრაცია რეპროდუქ-

ციულ ასაკში, იძულებითი კონტრაცეპცია, ასევე სახელმწიფოს მიერ ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც სასჯელის გამოყენების მუქარით უკრძალავს ამ ჯგუფის წევრებს შვილის ყოლას ან უზღუდავს ბავშვის რაოდენობას. ხშირად, ასეთ ვითარებაში, ამ დანაშაულის ხელშემწყობად სახელმწიფო ბეველინება, რომელიც შეიძლება უშუალოდ არ მონაწილეობდეს გენოციდის აქტში, თუმცა მან ვერ უზრუნველყო თავისივე სახელმწიფოში საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა.

ბავშვის იძულებით გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ მოხდეს მისი ასიმილაცია სხვა ეთნიკურ ჯგუფში. ასე რომ, გენოციდის დანაშაულის ჩადენა შეიძლება ბავშვის ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში გადაცემით. სწორედ ამ ფორმით განხორციელდა გენოციდი ავსტრალიაში აბორიგენების წინააღმდეგ. 1910 წლიდან ავსტრალიის მთავრობა ანგლიკანურ ეკლესიასთან ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობდა მიზანმიმართული გენოციდის აქტს, რითაც ხდებოდა აბორიგენი ბავშვების ოჯახებიდან იძულებითი განცალკევება. 1910-1979 წლებში 100 000 აბორიგენი ბავშვი იძულებით იქნა მოწყვეტილი თავისი ოჯახიდან.

ბავშვის ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში იძულებითი გადაცემა, როგორც ვხედავთ, საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის, კერძოდ გენოციდის დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია. სამწუხაროდ იგი ქართველი კანონმდებლის მიერ ვერ იქნა სწორად ფორმულირებული. მართებულად მიმაჩნია გენოციდის აღწერილობითი დისპოზიციის ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი ასე დადგინდეს: „გენოციდი გამოიხატება... ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ჯგუფიდან მეორეში“ და არა ერთი ეთნი-

კური ჯგუფიდან მეორეში. მაშასადამე, ამოსაღებია სიტყვა **„ეთნიკური“**, რადგან გენოციდი მიმართულია არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგაც. ამასთან, ბავშვის იძულებითი გადაცემა შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში, ისე ერთი რელიგიური ჯგუფიდან მეორეში, ან ერთი რასობრივი ჯგუფიდან მეორეში. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არც ერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მე შეეისწავლე (გერმანია, შვეიცარია, ესპანეთი, ბელგია) და არც გენოციდის კონვენცია არ მოიცავს საეალდებულო ნიშნად მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფს. გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენცია აწესებს პასუხისმგებლობას ბავშვის ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაცემისთვის.

გენოციდის სუბიექტი

გენოციდის დანაშაული თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ხშირად, სპეციალური სუბიექტის არსებობას მოითხოვს, თუმცა გენოციდში სპეციალური სუბიექტის მონაწილეობა არ წარმოადგენს ამ დანაშაულის საეალდებულო ნიშანს. სტატისტიკურად გენოციდის დანაშაულის დიდ უმრაველესობაში დასტურდება სპეციალური სუბიექტის მონაწილეობა, რომელიც ძირითადად განეკუთვნება მაღალი თანამდებობის მქონე პირს, სამხედრო მთავარსარდალს, ხელისუფლების მეთაურს, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირს და სხვ.

ამ დანაშაულის სუბიექტია 14 წელს მიღწეული პირი, რომელმაც ჩაიდინა გენოციდის დანაშაული, თუმცა სისხ-

ლის სამართლის სართაშორისო სასამართლოს რომის წესდება, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს, გენოციდისათვის პასუხისმგებლობის განსხვავებულ ასაკს აწესებს. რომის წესდების 26-ე მუხლით დაუშვებელია 18 წელს მიუღწეველ პირებზე ამ სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება: „სასამართლო იურისდიქცია არ ერცელდება პირებზე, რომლებიც არ იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეულნი დანაშაულის საეარაუდო ჩადენის მომენტისთვის". თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ დაუშვებელია გენოციდის ბრალდებით 18 წელს მიუღწეველის დაკავება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა საერთაშორისო სამართლით მკაცრად განსაზღვრული იმპერატიული ნორმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით.

ამ გარემოების გათვალისწინებით, მართებულად მიმაჩნია შიდა კანონმდებლობით ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ასაკად განისაზღვროს 18 წელი და ამის თაობაზე შენიშვნის სახით დაერთოს საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლს.

ამრიგად, ამ კონტექსტში გენოციდის დანაშაული არ სანეკუთნება ვიწრო ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი დაპირისპირების შედეგად ჩადენილ მკვლელობათა პრიმიტიულ გამოხატულებას. გენოციდი ხშირად ხორციელდება იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომელიც არ იცავს ზემოხსენებული ჯგუფების ფუნდამენტურ უფლებებს. შესაბამისად, სახელმწიფოს უმაღლესი მესვეურნი გვეყლინებიან ამ დანაშაულის ერთგვარ სუბიექტებად.

გენოციდის სუბიექტური მხარე

ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. მისი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა გამორიცხულია.

მაშასადამე, პირდაპირი განზრახვა გენოციდის დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის საფალდებულო ნიშანია, ამიტომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება ვერ განიხილება გენოციდის დანაშაულად. გენოციდს გააჩნია თავისი კონკრეტული მიზანი, რაც ზოგჯერ განზრახვის წინმსწრები მოვლენაა. გაუფრთხილებელ დანაშაულს კი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის მიზანი არ გააჩნია.

§3 ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაცვა გენოციდისგან

ზემოხსენებული ჯგუფების დაცვა გენოციდის დანაშაულისაგან წარმოადგენს როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკის მთავარ ამოცანას. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ნორმების რატიფიკაციასა და შიდასახელმწიფოებრივ კოდიფიკაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გააჩნია ერთიანი და კოორდინირებული უმცირესობათა დაცვის სისტემა. შესაბამისად, იგი აღიარებს უმცირესობათა დაცვას გენოციდისგან მთელი ხუთი ათწლეულის განმავლობაში, ატარებს მრავალ ღონისძიებას ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად და მათი უფლებების დაცვის სისტემის ფარგლებში. ამ სფეროში უმ-

ცირესობათა დაცვის მიზნებია: 1. უმცირესობათა დაცვა გენოციდისაგან. 2. ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და მათ შორის, ენობრივი უმცირესობების ხელშეწყობა და დაცვა. 3. ზემოსსენებული ჯგუფების დაცვა ძალისმიერი და იძულებითი კულტურული ასიმილაციისაგან. 4. განსაზღვრული მასშტაბით თვითგამორკვევის უფლება უმცირესობებისათვის. 5. რასობრივი ჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობების, ასევე რელიგიური და ეროვნული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფების დაცვა რასობრივი დისკრიმინაციისაგან. 6. რელიგიური შეუწყნარებლობის კანონგარეშედ გამოცხადება. 7. აპარტეიდის როგორც სისტემური რასობრივი დისკრიმინაციის ფორმის, აკრძალვა.

ჰომოგენურ სახელმწიფოში უმცირესობების წინააღმდეგ ბრძოლა გენოციდის დანაშაულის იდენტური მოვლენაა, და პირიქით, პლურალიზმი, უმცირესობათა უფლებების დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე წარმოადგენს გენოციდის პრევენციის მნიშვნელოვან ელემენტს.

ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაცვა გენოციდისგან გულისხმობს როგორც ამ დანაშაულის კანონით დასჯადად გამოცხადებას, ისე სამართლის ნორმათა კოდიფიკაციას, რომლებიც უზრუნველყოფენ გენოციდის პრევენციას. მაგ: შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლით ის, ვინც ზეპირად, წერილობით, კარიკატურით ან სხვა ქმედებით ინდივიდს ან პირთა ჯგუფს, მისი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისათვის, დაამცირებს ან გენოციდის აქტს გაამართლებს, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 607-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, ის, ვინც გაავრცელებს დოქტრინას ან იდეას გენოციდის ჩადენის მართებულობის შესახებ, ან ხელს უწყობს იმ რეჟიმის ან ინსტიტუტის რეაბილიტაციას, რომლის შედეგადაც განხორციელდა გენოციდის დანაშაული, ისჯება 1-დან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

1993 წლის 26 ოქტომბერს ესტონეთში მიიღეს კანონი „ეროვნული უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ". ეს კანონი უზრუნველყოფს ასეთ ჯგუფთა ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციების, ენის და რელიგიის დაცვას და კანონგარეშედ აცხადებს მათ იძულებით ასიმილაციას. ამ კანონით ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან: ა) ესტონეთის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო წარმომავლობის ადამიანები; ბ) განსხვავებული ეთნიკური და ენობრივი ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები. ესტონეთი ევროპის ერთ-ერთი მრავალეროვნული სახელმწიფოა, სადაც მოსახლეობის 35% უცხოელები შეადგენენ (28% რუსები, 3% უკრაინელები და სხვა ეროვნული უმცირესობები). ესტონეთში ეროვნული უმცირესობები ორ ჯგუფად იყოფიან: 1. ისტორიული უმცირესობები, ე.ი. ისინი, რომლებიც, ისტორიული ფაქტორების შედეგად ხანგრძლივად მცხოვრებ ეროვნულ გაერთიანებებს შეადგენენ და 2. უმცირესობები, რომლებიც ესტონეთში დასახლდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ კანონით ეროვნული უმცირესობების ცნების განსაზღვრისას მნიშვნელობა არა აქვს უცხოელი ესტონეთის მოქალაქეა თუ არა(ius sanguinis).

თითოეული ეს დებულება მრავალმხრივ საერთაშორისო სამართლის წყაროზეა დაფუძნებული. მაგალითად, თანამედროვე პირობებში გენოციდის აკრძალვა საერთაშორისო სამართლის შემადგენელ ნაწილად იქცა.

უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებია ა) 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია; ბ) 1989 წლის 5 დეკემბრის ბავშვთა უფლებების კონვენცია; გ) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენცია; დ) 1965 წლის 21 დეკემბრის კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ; ე) გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ვ) გაეროს 1995 წლის დეკლარაცია ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური და ენობრივი უმცირესობათა უფლებების შესახებ; ზ) გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია.

ზემოხსენებული ჯგუფების დაცვა გენოციდისაგან წარმოადგენს ასევე შიდასახელმწიფოებრივ ამოცანას, რომლის უმთავრეს გარანტად გვევლინება ქვეყნის უზენაესი კანონი—კონსტიტუცია. იგი აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას განურჩევლად რასისა, კანისა, ფერისა, რელიგიისა, სქესისა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა. ასეთი ჯგუფები არიან სრულფასოვანი და ინტეგრირებული ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებისა

რასობრივი ჯგუფის დაცვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა **„რასიზმის ოკუმენისტური სწავლება“**. ოკუმენისტების შეხედულებით, იმისთვის, რომ რასიზმის ფენომენი როგორც უძველესი, ისე თანამედროვე ფორმით ეკლესიისა და საზოგადოებისათვის გასაგები გახდეს და გაადვილდეს რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, აუცილებელია დამკვიდრდეს ახალი – ოკუმენისტური სწავლება. იგი დაინერგა 1992 წელს და ცდილობს რასიზმის გლობალური და რეგიონალური ტენდენციები გააანალიზოს და რასიზმი ახლებურად განსაზღვროს.

თავი II
გენოციდი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით

§1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გენოციდის ზოგადი ანალიზი

გენოციდის პრობლემა მეტად აქტუალურია როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მისი განსაკუთრებულობა საერთაშორისო სამყაროსათვის განპირობებულია იმით, რომ იგი წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს და მას უშუალოდ განსაზღვრავს „კონვენცია გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ“ და რომის სტატუტი, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ძირითად სახელმძღვანელო წყაროს განეკუთნება.

გენოციდის დანაშაულის განხილვის შედეგად დავრწმუნდი, რომ შეუძლებელია სისხლის სამართლის ამ ინსტიტუტის მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირება, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჩადენილია საერთაშორისო გენოციდი, რადგან, ასეთ დროს, წარმოიშობა ისეთი პრობლემები, როგორიცაა ამ დანაშაულში მხილებულ პირთა ექსტრადიცია, საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი აღსრულება, თანამშრომლობა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან და სხვ. საკითხის მეორე მხარეა, თუ რამდენად იყენებს სახელმწიფო ამ პრობლემის რეგულირების საერთაშორისო საშუალებებს. ამასთან, უპირობოა, რომ გენოციდის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის და პრევენციული ღონისძიებების გატარების

ხარისხს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობაც განსაზღვრავს.

გენოციდის პრობლემის განხილვისას შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის ძირითადი განსხვავება სამართლის იმპლემენტაციის დონეზე წარმოჩინდება, ანუ როგორ და რამდენად ეფექტურად ხორციელდება კონტროლი ზემოხსენებული კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაზე. ამასთან, როგორ ხდება სახელმწიფოს 'შიგნით' ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, დარღვევათა აღკვეთა. რადგან საქართველომ ზემოხსენებული კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, იგი ვალდებულია განუხრელად დაიცვას აღნიშნული კონვენციის მოთხოვნები. ამისათვის საქართველოს თავის ტერიტორიაზე სამართლებრივი უზრუნველყოფისა და მისი განხორციელების შესაბამისი მექანიზმი უნდა გააჩნდეს.

სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციის რატიფიკაცია ან მასზე მიერთება იძლევა დიდი ალბათობით გარანტიას კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებისათვის. ასეთ დროს სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და გენოციდის ჩადენისათვის დააწესოს გონივრული სასჯელი.

ამდენად, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან ერთად საერთაშორისო ნორმებიც პოზიტიურ გავლენას ახდენენ გენოციდისგან დაცვაზე და წარმოადგენენ სახელმწიფოსადმი ზემოქმედების ერთგვარ საშუალებებს.

„გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისთვის დასჯის კონვენციის" მიღებას საფუძველად დაედო გაეროს განზრახვა დაგმოს და დასაჯოს გენოციდისათვის, როგორც საერთაშო-

რისო დანაშაულისათვის, ისინი, ვინც კრძალავენ პირთა ჯგუფების არსებობის უფლებას.

გარდა გენოციდის კონვენციისა გენოციდს სამართლის სხვა წყაროებიც განსაზღვრავენ. კერძოდ, 1946 წლის გაეროს რეზოლუცია, რომელიც გენოციდს საერთაშორისო დანაშაულად ცნობდა. 1993 წელს კი გაეროს უშიშროების საბჭომ ყოფილი იუგოსლავიისათვის დააარსა „ad hoc" ტრიბუნალი, რომლის იურისდიქციაც გავრცელდა გენოციდის დანაშაულზე.

რაც შეეხება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციას იგი გავრცელდა იმ ფიზიკურ პირებზე, რომელთაც გენოციდის დანაშაული ჩაიდინეს. ეს პირები პასუხს აგებენ ინდივიდუალურად.

ამ სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება სახელმწიფოებზე, ორგანიზაციებზე, იურიდიულ პირებზე, ასევე მათზე, ვინც დანაშაულის ჩადენისათვის არ იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეულნი.

მას შემდეგ, რაც სამოცმა ქვეყანამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის რატიფიკაცია მოახდინა, იგი ძალაში შევიდა 2002 წელს. ამ სტატუტის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლო მოთხოვნების შესრულება, რისთვისაც უნდა გამოიყენონ საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი პროცედურები. ხოლო თუ სტატუტის წევრი სახელმწიფო არ ასრულებს სასამართლო მოთხოვნებს თანამშრომლობის შესახებ სასამართლო საქმეს განსახილველად გადასცემს გაეროს უშიშროების საბჭოს.

გენოციდი შეტანილია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციაში. სახელმწიფოები მოვალენი არიან აქტიურად ებრძოლონ გენოციდის ნე-

ბისმიერ გამოვლინებას თავის საზღვრებს შიგნით, ხოლო თუ ასეთ ქმედებას თავად სახელმწიფო ახორციელებს, ის საერთაშორისო დანაშაულს სჩადის და მისი ხელმძღვანელები ინდივიდუალურად ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთმანეთისგან განასხვავებენ გენოციდს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მათ გამიჯვნას ერთმანეთისგან წმინდა ფორმალური დატვირთვა გააჩნია. გენოციდი ჩადენილი იქნება შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით თუ საერთაშორისო მასშტაბით, ვერ შეცვლის და გავლენას ვერ მოახდენს პასუხისმგებლობის ზომაზე. ამასთან, თუ გენოციდი ჩადენილია შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება საერთაშორისო პასუხისმგებლობა ამ ქმედებისათვის. იგი, ასეთ დროს, მაინც საერთაშორისო დანაშაულად მიიჩნევა. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კრიტერიუმებით ასევე ვერ განვსაზღვრავთ ამ ქმედების მასშტაბებს, რადგან ცალკეულ შემთხვევებში და ამის რამდენიმე მაგალითიც არსებობს, შიდასახელმწიფოებრივი გენოციდი მსხვერპლთა რაოდენობით აჭარბებს საერთაშორისო გენოციდს.

როცა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გენოციდზე ვსაუბრობთ აუცილებელია განისაზღვროს მათი განმასხვავებელი რამდენიმე ნიშანი. საერთაშორისო გენოციდის შემთხვევაში დანაშაული ხორციელდება განსაზღვრული სახელმწიფოს მოქალაქეების, ანუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის წინააღმდეგ, მაშინ, როცა შიდასახელმწიფოებრივი გენოციდი მოიაზრებს ამავე სახელმწიფოში მცხოვრებთა ან ამ სახელმწიფოს

მოქალაქეთა მიერ განხორციელებულ ქმედებას თავისივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მართებულად მიმაჩნია მსოფლიოში ჩადენილ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გენოციდის ყველაზე ცნობილ მაგალითებზე მივაქციო მკითხველის ყურადღება, რათა პრაქტიკულ ასპექტში გააზრებით გაადვილდეს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა.

მსოფლიო იურისპრუდენციაში დიდი ხანია დაისვა საკითხი, იმაზე, თუ რატომ მიიჩნევა გენოციდი საერთაშორისო დანაშაულად. ევროპელ მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გენოციდის ეროვნულ (ნაციონალურ) დანაშაულად აღიარება არაადეკვატური იქნება, ვინაიდან ეს დანაშაული ხშირად სახელმწიფოს ორგანიზებით და მხარდაჭერით ხორციელდება. ამიტომ, ცხადია, ასეთ დროს სახელმწიფო არ იქნება დაინტერესებული სისხლისსამართლებრივი დევნა აწარმოოს გენოციდში მხილებულ პირთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ამდენად, წმინდა სამართლებრივი, მორალური და მატერიალური ბუნებით იგი სამართლიანად მიიჩნევა საერთაშორისო დანაშაულად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მისი შექმნის დღიდან, აქტიურად დაიწყო ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცილების მიზნით შექმნა შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა.

გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი გამოდიოდა ინიციატივით, რომლითაც წევრი სახელმწიფოები გენოციდისაგან მოსახლეობის დაცვის პასუხისმგებლობას აიღებენ. კოფი ანანის განცხადებით ხალხის დაცვა გენოციდის საფრთხისაგან წარმოადგენს სახელმწიფოთა უპირველეს მოვალეობას. ამასთან, გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო შესაბამის კრიტერიუმებს აწესებს, რათა სახელმწიფოთა მიერ ზომების მიუღებლობისას თავად გამოიყენოს სამოქალაქო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ზომები გენოციდისგან თავის დასაცავად.

ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს კოფი ანანის მიერ წამოყენებულ ინიციატივაზე, რომ გაეროს უშიშროების კომიტეტის მუდმივმოქმედი ხუთი წევრი სახელმწიფო უარს განაცხადებს ვეტოზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა გენოციდის თემა და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამასთან, საერთაშორისო სამყარო უკვე ალაპარაკდა, რომ გენოციდისაგან დაცვის მოვალეობა საერთაშორისო სამართლის პრინციპის სახით უნდა იქნას ფორმულირებული. ეს პრინციპი კი გაეროს წევრთათვის იქნება ზოგადსავალდებულო ხასიათის. კერძოდ, ისინი საჭიროების შემთხვევაში ვალდებულნი იქნებიან გამოიყენონ ინტერვენციული ზომები.

ამერიკის შეერთებული შტატები ამ პოზიციის წინააღმდეგია (ისევე როგორც რუსეთი, ირანი, ჩინეთი, ბრაზილია). ამერიკაში მიიჩნევენ, რომ გენოციდისაგან ხალხთა დაცვის მოვალეობა და ინტერვენციული ზომები წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული ხელშეუხებლობის ფუძემდებლურ პრინციპთან.

დემოკრატიული საზოგადოებისათვის ძნელი წარმოსადგენია ისეთი შემთხვევები, როცა სახელმწიფოთა ერთი ნაწილი გენიციდზე, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის უფლებათა იგნორირებაზე და მათ იძულებით ასიმილაციაზეა დაფუძნებული. მაგალითისათვის, ავსტრალიაში დღემდე არსებობს მეცნიერთა შორის დისკუსია აბორიგენთა იძულებითი ასიმილაციის ფაქტების შესახებ. გერ-

მანიაში კი დაფუძნებულია გენოციდის კელევითი ინსტიტუტები, რომელნიც მიზანმიმართულად განიხილავენ მსოფლიო გენოციდის ცნობილ ფაქტებს და აყალიბებენ გენოციდის თავიდან აცილების ზოგად პერსპექტიველებს.

§2. გენოციდისათვის პასუხისმგებლობის საერთაშორისო საშუალებები

გენოციდი, როგორც მეოცე საუკუნის „ტრაგიკული ფენომენი", საესებით სამართლიანად არის მიჩნეული საერთაშორისო დანაშაულად. მან უდიდესი მსხვერპლი მოუტანა მსოფლიო საზოგადოებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გენოციდი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სართაშორისო პრობლემას, რომელსაც სამართლებრივი რეგულირება სჭირდებოდა. ამიტომ 1948 წლის 9 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „კონვენცია გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯისათვის", რომლითაც ამ კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს დაეკისრათ ვალდებულება გონიერული სასჯელი დაეწესებინათ გენოციდის ჩამდენ პირთა მიმართ, თუმცა ამ კონვენციის პრაქტიკული გამოყენება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სახელმწიფოთა მიერ ქვეყნის შიგნით მიმდინარე გენოციდის პრევენციისა და დასჯის პოლიტიკით, არამედ, პიველ რიგში, საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებების გამოყენებასაც გულისხმობდა.

წინამდებარე კონვენცია შედგება ცხრამეტი მუხლისაგან. პირველი მუხლით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ებრძოლონ გენოციდის დანაშაულს, უზრუნველყონ

მისი პრევენცია და შესაბამისი სასჯელი დააწესონ, მიუხედავად იმისა ომიანობის დროს იქნება გენოციდი ჩადენილი თუ მშვიდობის დროს. ე.ი. სახელმწიფო არა მხოლოდ მაშინ არის ვალდებული ებრძოლოს გენოციდს, როცა ქვეყანაში არსებობს მშვიდობა და დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი, არამედ მაშინაც, როცა გენოციდი ომიანობის დროს არის ჩადენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გენოციდის ჩადენა არ შეიძლება გამართლდეს ომით ან შეიარაღებული დაპირისპირებით. ომი ვერ გადაწონის გენოციდის დანაშაულს. ომს გააჩნია თავისი იმპერატიული კანონები და მისი ვადაცდომა იწვევს პასუხისმგებლობას საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით. ასე რომ, თუ საომარი მოქმედება ქმნის გენოციდის დანაშაულის შემადგენლობას დგება პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო სისხლის სამართლის შესაბამისად.

ამავე კონვენციის მეშვიდე მუხლის თანახმად, გენოციდის ჩამდენი პირის პასუხისგებაში მიცემის მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეები მოვალენი არიან განახორციელონ ექსტრადიცია თავისი მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულების თანახმად. ე.ი. ასეთ დროს გენოციდის ჩამდენი პირის ექსტრადიცია შეიძლება მოხდეს იმ სახელმწიფოში, სადაც პირმა ქმედება ჩაიდინა (ქმედების თეორია) ან იმ ქვეყანაში, სადაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგა (შედეგის თეორია). საერთაშორისო სამართლით დაგენილი წესით გენოციდის დანაშაულში ბრალდებული შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ამდენად, გენოციდის კონვენციის VII მუხლის შინაარსი შეესაბამება სუფველგანობის პრინციპს.

სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალების დაფუძნებით განისაზღვრებოდა გენოციდისათვის დასჯის საერთაშორისო საშუალებები. მაგალითად, 1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით ჰაგაში დაფუძნდა საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი გენოციდის დანაშაულისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევის გამო (International Criminal Tribunal for the former Yugoslavia ICTY), ისევე როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 1994 წლის 8 ნოემბერს შეიქმნა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (Inernational Criminal Tribunal for Rwanda ICTR), ჰუტების მიერ ტუტსებზე განხორციელებული გენოციდისათვის.

სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება ჩამოყალიბდა ერთგვარ ტრადიციად და საერთაშორისო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ძირითად ფორმად, მაგრამ სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს და მისი იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ განსაზღვრულ სახელმწიფოში ან განსაზღვრულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე (ან დანაშაულებზე), რითაც იგი ვერ განიხილება გენოციდის, როგორც მსოფლიო მასშტაბის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ ეფექტურ საშუალებად.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნით, რომლის წესდებაც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17

ივლისს, საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო მართლმსაჯულების გაცილებით სწრაფ და ეფექტურ ფორმას. ამ სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება არა მხოლოდ გენოციდის დანაშაულზე, არამედ: 1. სამხედრო დანაშაულზე. 2. აგრესიის დანაშაულზე. 3. დანაშაულზე კაცობრიობის წინააღმდეგ.

მისი ადგილსამყოფელი მდებარეობს ქალაქ ჰააგაში. გათვალისწინებული იქნა დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების საკითხიც, რესტიტუციის, რეაბილიტაციისა და კონპენსაციის ჩათვლით. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აქვს უფლება განსაზღვროს ზარალის მოცულობა და მისი ანაზღაურების კონკრეტული ფორმა. დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციისათვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია შექმნას „მიზნობრივი ფონდი". ფონდი შეიძლება აერთიანებდეს როგორც ფულად თანხას , ისე სხვა სახის ქონებას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის შემავსებელს. ცხადია, ამ ფორმულირებას თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნია, რამდენადაც ეროვნული სამართალი გენოციდს, როგორც საერთაშორისო და ამავე დროს მსოფლიო მასშტაბის დანაშაულს, ვერ გაწვდება და ვერ მოახდენს მის სრულ პრევენციას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებაში მოცემული გენოციდის ცნება შეესაბამება „გენოციდის თავიდან აცილების და დასჯის კონვენციას" იმ განსხვავებით, რომ რომის სტატუტი არ ითვალისწინებს სრული სახით ქმედებათა იმ ჩამონათვალს, რომელიც დასჯადად უნდა იქნეს მიჩნეული გენოციდის დანაშაულის დროს. ცხადია მას სრულად ავსებს გენო-

ციდის ზემოხსენებული კონვენცია, რომლის მესამე მუხლის თანახმად დასჯადია:

1. გენოციდი.
2. შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით.
3. პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდისაკენ.
4. გენოციდის ჩადენის მცდელობა.
5. გენოციდში თანამონაწილეობა.

რომის წესდების 25-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება თუ: ა) გენოციდის დანაშაულის შენთხვევაში პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდისაკენ; ბ) ცდილობს გენოციდის ჩადენას ისეთი მოქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისათვის გამიზნულ მნიშვნელოვან მოქმედებას, მაგრამ დანაშაული არ დასრულებულა პირის განზრახვისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის გენოციდის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად შეუშლის ხელს დანაშაულის დასრულებას, მოცემული წესდების თანახმად, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის თუ იგი სრულად აიღებს ხელს დანაშაულებრივ განზრახვაზე. ასე რომ, შიდა კანონმდებლობის მსგავსად ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე წარმოადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებას.

როგორც ცნობილია, გენოციდის დანაშაულზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, რაც ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება გენოციდის დანაშაულის ყველა ის ფაქტი, რომელნიც გასულ წლებში იქნა ჩადენილი. მაგალითად, რომის სტატუტის მეთერტმეტე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის სა-

ერთაშორისო სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია მხოლოდ ამ წესდების ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშულებზე, მათ შორის გენოციდის დანაშაულზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლით დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გენოციდზე, პრიორიტეტი ამ დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გააჩნია, მაშინაც კი, როცა საქმე გადაეცა ნაციონალურ ორგანოებს და მართლმსაჯულება უნდა განახორციელოს ეროვნულმა სასამართლომ.

კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ განსაზღვრავს, რომ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ იმ დანაშაულთა მიმართ, რომელიც რომის სტატუტის შესაბამისად ამ სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება. ასეთ დროს საქმის მთლიანი მასალები გადაეცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რაც გამოიწვევს ნაციონალური ორგანოების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის შეჩერებას. ცხადია, ეს წესი არ ვრცელდება მაშინ, როცა ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გენოციდზე საბოლოოა და კანონიერ ძალაშია შესული. ასეთ დროს დაცულია non bis in idem (non bis in idem ლათ: „ერთსა და იმავე დანაშაულზე პირი არ შეიძლება ორჯერ დაისაჯოს") პრინციპი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით მოცემული სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე, მათ შორის, გენოციდზე სასჯელის სახით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს ან უვადო

თავისუფლების აღკვეთა, როცა ეს გამოწვეულია დანაშაულის უკიდურესი სიმძიმით.

ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი უნდა დაისაჯონ იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა ისინი კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენელნი, თანამდებობის თუ კერძო პირები. გენოციდი შეიძლება განხორციელდეს საჯარო მოსამსახურის მიერაც, რაც ამ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ხოლო უკანონო ბრძანების გაცემა გენოციდის ჩადენის იდენტურია. რაც შეეხება თვით უკანონო ბრძანების შესრულების ფაქტს იგი არ ჩაითვლება პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად, თუმცა შესაძლოა სასჯელის შემსუბუქების საფუძვლად ჩაითვალოს. პირის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად გენოციდის ჩადენისას ითვლება ასაკი და ფსიქიკური დამოკიდებულება.

§ 3. გენოციდი როგორც მსოფლიო მასშტაბის დანაშაული

გენოციდი საერთაშორისო დანაშაულთან ერთად მსოფლიო მასშტაბის დანაშაულადაც შეიძლება განვიხილოთ. ამ დანაშაულმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას უდიდესი ტრაგედია მოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ გენოციდი თავისი შინაარსობრივი თვალსაზრისით თითქმის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში აღიარებულია ერთი კონკრეტული ფორმით, მას მაინც გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რაც გამომდინარეობს ცალკეულ სახელმწიფოებში ჩადენილი გენოციდის ინდივიდუალურობით, ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური პირობებით.

გენოციდის დანაშაული ხშირად არა მხოლოდ ნაცისტური, არამედ ტოტალიტარული კომუნიზმის რეჟიმის პირობებშიც ვლინდებოდა. კომუნისტური რეჟიმის მთავარი მიზანი იყო კომუნისტური საზოგადოების შექმნა, რომელშიც ინდივიდი, როგორც ძველი „ჰატერია" ახალი ინდივიდით გარდაიქმნებოდა. გასაბჭოების ყოველი ახალი საფეხური განსაზღვრული კუთვნილებითი ნიშნით გაერთიანებული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ვლინდებოდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მართებულად მიმაჩნია გენოციდის დანაშაულის განხილვა მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, რათა გაადვილდეს გენოციდის დანაშაულის პრაქტიკული გააზრება.

1. **გენოციდი სომხების წინააღმდეგ თურქეთში** – მეოცე საუკუნის დამდეგს (1915-1917წ.) თურქების მიერ სომხებზე განხორციელებული გენოციდი, რაც დაკავშირებული იყო თურქი ხალხის სწრაფვასთან შეექმნათ ნაციონალურ საწყისებზე დაფუძნებული ჰომოგენური სახელმწიფო, მსხვერპლთა რაოდენობით ოითქმის მსოფლიო გენოციდის ყველაზე მასშტაბურ ნიმუშს განეკუთვნება.

პოლონელი ადვოკატი რაფაელ ლემკინი, რომელმაც 1943-1944წ. პირველად დაამკვიდრა ტერმინი გენოციდი, ამ ცნებაში სწორედ სომხებზე განხორციელებულ გენოციდს მოიაზრებდა და ამავე ნიმუშით ასაბუთებდა ამ ცნების მართებულობას.

1915-1917 წლებში თურქეთში სომხებზე განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა რაოდენობა 600 000-დან 1 500 000 სომეხს ითვლის. ამასთან, ოფიციალური სომხური წყაროები ამტკიცებენ, რომ თურქეთის გენოციდს 1,5 მილიონი სომეხი შეეწირა. ხოლო თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო საწინააღმდეგოს ასაბუთებს: თურქეთში 1915 წელს 9000-10 000 სომეხი დაიღუპა, აქედან

500 ერზრუმში ყაჩაღთა ბანდის მიერ, ხოლო 2000 სომეხი არაბთა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა იმსხვერპლეს. ცხადია, ამ პოზიციას არ ეთანხმება სომხური დიასპორა (ტერმინი „დიასპორა" ბერძნული სიტყვისაგან წარმოდგება. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან სიტყვა „დიასპორა" იმ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს გულისხმობს, რომლებმაც თავიანთი სამშობლო დატოვეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სახლობენ), რომელიც საწინააღმდეგოს ასაბუთებს.

1915 წლიდან ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო თურქეთის ნაციონალური მთავრობის მიერ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სომხების ევაკუაცია. ამავე წელს თურქეთის „ერთიანობისა და პროგრესის ახალგაზრდულმა კომიტეტმა" დაადგინა სომეხთა მა სობრივი განადგურების გეგმა და ამისათვის შექმნა სპეციალური გაერთიანება „Çete". სომხები, რომელნიც თურქეთის სამხედრო ბატალიონებში ირიცხებოდნენ, განაიარაღეს, სამუშაო ჯგუფებში გააერთიანეს და შემდეგ მასობრივად დახოცეს.

1915 წლის 24-25 აპრილს ყველა პოლიტიკური და კულტურული სფეროს სომეხი ხელმძღვანელი დააპატიმრეს და ეთნიკური კუთვნილების გამო დახოცეს. მსხვერპლთა რაოდენობამ 2000 ადამიანს გადააჭარბა.

1915 წლის ივნისის თვეში სომეხი ეროვნების მოსახლეობა თურქი პოლიციელების, სამხედროების და ქურთების დამხმარე რაზმების მიერ იქნენ დახოცილნი. ამ დანაშაულს ორგანიზებას თავად იმ დროს მოქმედი თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ ტალაათი ახდენდა. ამავე წელს მან გასცა კატეგორიული ბრძანება – ყველა სომეხი, რომელიც თურქეთში ცხოვრობდა და შპიონაჟში და სამშობლოს ღალატში იყო ეჭვმიტანილი მთლიანად დაეხოცათ.

თურქეთში, სომხებზე მოწყობილმა გენოციდმა 1 500 000 სომეხი ეროვნების ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო სომეხთა იმ ნაწილმა, რომელიც გენოციდს გადაურჩა, ემიგრაციით უშველა თავს.

ევროპაში, გარდა თურქი მოღვაწეებისა, არსებობენ ცალკეული მეცნიერები და ინტელექტუალები, რომელნიც თურქების მიერ სომხებზე განხორციელებულ მასობრივ მკვლელობას გენოციდად არ მიიჩნევენ. ამ პოზიციას წარმოადგენს პრინცეტონის უნივერსიტეტის ბრიტანელი ისტორიკოსი და რელიგიათმცოდნე ბერნარდ ლეეისი. იგი მიიჩნევს, რომ თურქების მიერ სომხებზე განხორციელებული მასობრივი მკვლელობა არ იყო „ოსმალეთის იმპერიის" მიერ სახელმწიფო დონეზე დაგეგმილი გენოციდის დანაშაული, არამედ ომის დანაშაულის ტრაგიკულ გამოვლინებას წარმოადგენდა. მისი ეს ნააზრევი 1994 წელს გამოქვეყნდა ფრანგულ გაზეთში „La Monde", რამაც საკმაოდ დიდი სკანდალი გამოიწვია. ლეეისი, ამის გამო, პარიზის სასამართლოს მიერ იქნა გასამართლებული და დაეკისრა სიმბოლური ფულადი სახდელი გენოციდის შედეგად დაღუპულ სომეხთა „ხსოვნის უპატიეცემულობისთვის". დღესდღეობით თურქეთი გმობს საფრანგეთის პარლამენტის გადაწყვეტილებას, იმის თაობაზე, რომ თურქეთის მიწაზე სომხებისთვის გენოციდის მოწყობის არაღიარება დანაშაულად ჩაითვლება. ამ ქმედებისათვის საჯელის ზომად დადგენილია 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან 45 ათასი ევროს გადახდა. ცხადია, საფრანგეთის პარლამენტის ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება აზრის გამოხატვის ფუძემდებლურ პრინციპს. ასეთ დროს გენოციდის მკვლევარის მეცნიერული ნააზრევი, თუნდაც იგი მყარ იურიდიულ არგუმენტაციას ეფუძნებოდეს (გე-

ნოციდის ფაქტის არარსებობის შესახებ) ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

2. ჩინელთა მიერ ჩადენილი გენოციდი ტიბეტელი ხალხის წინააღმდეგ (1966-1969წ.) მაო-ძედონის მმართველობის პირობებში, ტიბეტელი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის აქტს საფუძვლად ედო როგორც ეროვნული, ისე რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი. მას შემდეგ, რაც ჩინელმა რევოლუციონერმა მაო-ძედონმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდო და 1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა, დაისახა სამხედრო გეგმა, რომელიც საწყის ეტაპზე მიზნად ტიბეტის ანექსიას ისახავდა. 1950 წელს „ჩინეთის განმანთავისუფლებელი არმია" ტიბეტში შევიდა და მოახდინა მისი ფაქტიური ანექსია. ამის გამო, ამავე წელს, ტიბეტის მთავრობამ შეიტანა ოფიციალური საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც მხოლოდ სალვადორმა აღიარა ტიბეტელთა ანექსია ჩინეთის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი სახელმწიფოები პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სალვადორის პოზიციას არ ეთანხმებოდნენ. ამ რთულ ვითარებაში ტიბეტი იძულებული იყო ჩინეთთან შეთანხმებაზე წასულიყო რომლის ძალითაც ჩინეთის სუვერენიტეტი ტიბეტზეც გავრცელდებოდა. შეთანხმების ძალით ჩინეთი აღიარებდა ტიბეტის სრულ რელიგიურ, კულტურულ და პოლიტიკურ თავისუფლებას, თუმცა, მცირე ხანში, ტიბეტელი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილმა გენოციდმა ეს შეთანხმება ქაღალდზე დაწერილ წმინდა ფორმალობად აქცია.

1966-1969 წლებში ტიბეტს თავს დაატყდა უდიდესი ტრაგედია. ჩინელებმა ეროვნული და რელიგიური ნიშნით დაიწყეს ტიბეტელთა მასობრივი ხოცვა. გაიძარცვა და გადაიწვა 6500 ტიბეტური ტაძარი და მონასტერი. 1,2 მი-

ლიონი ტიბეტელი უსასტიკესად დაიხოცა ჩინელების მიერ. ტიბეტელი ბერები და მონაზვნები აწამეს და შემდეგ სახალხოდ დახოცეს, ხოლო ამათგან 93% ღვთისმსახურების დროს მოკლეს.

თითქმის ყველა ოფიციალური წყარო ირწმუნება, რომ ტიბეტელთა მიმართ ჩადენილმა „რელიგიურმა გენოციდმა" 1 მილიონი ადამიანი შეიწირა. საერთაშორისო თანამეგობრობის „დუმილი", რომელიც ტიბეტელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს წითელ ზოლად გასდევს, თვალნათლივ ადასტურებს რა მცირეა „სუსტთა სამართალი" საერთაშორისო პოლიტიკაში, თუმცა იმის გამო, რომ ტიბეტელების მიმართ მოწყობილი გენოციდი იურიდიული თვალსაზრისით სრულად აკმაყოფილებდა „გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის" კონვენციაში მოცემული გენოციდის ლეგალურ განმარტებას გაერო იძულებული გახდა ელიარებინა ტიბეტელთა მიმართ ჩადენილი გენოციდი.

ამჟამად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონგრესში მიმდინარეობს ინტენსიური დიალოგი ტიბეტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის შესახებ. განსახილველი კანონპროექტის მიხედვით უნდა მოხდეს ტიბეტის ავტონომიურ რეგიონად ფორმირება ჩინეთის შემადგენლობაში და მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული ტიბეტელი ხალხის რელიგიური მრწამსი და კულტურული თვითმყოფადობა. ჩინეთის თითქმის ყველა ოფიციალური წყარო იუწყება, რომ წელიწადში 4000 ტიბეტელი ტოვებს ქვეყანას, რაც მათი რელიგიური დისკრიმინაციით არის განპირობებული

3. გენოციდი კამბოჯაში. კამბოჯის გენოციდი, რომელმაც 1,7 მილიონი ადამიანი შეიწირა, თანამედროვე კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიდ ტრაგედიად არის მიჩნე-

ული. ისევე როგორც იუგოსლავიასა და რუანდაში, კამბოჯაშიც პოლიტიკურმა ექსტრემიზმმა, ადამიანთა უფლებების იგნორირებამ, ნაცისტურმა იდეოლოგიამ შვა გენოციდის დანაშაული. მას სათავეში ედგა პოლიტიკური მოძრაობა „წითელი კმერი" (Die Roten Khmer). იგი 1975 წელს მოვიდა კამბოჯის ხელისუფლებაში. წითელი კმერი სათავეს იღებს კამბოჯის კომუნისტური პარტიიდან, რომლის ფორმირებაც, თავის მხრივ, 1951 წელს ჩინეთის კომუნისტურ სივრცეში მოხდა.

1975 წელს ქალაქი პონომ-პენი წითელმა კმერმა დაიკავა და ქვეყნის სათავეში ნოროდომ სიანოკი მოვიდა, რომელმაც „კამპუჩია" დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა 1975 წლის 9 სექტემბერს. მას შემდეგ, რაც ნოროდომ სიანოკმა სახელმწიფო მეთაურის თანამდებობა დატოვა, წითელმა კმერმა დაიწყო მოსახლეობის ეთნიკური წმენდა.

განსაკუთრებული ნიშანთვისება, რომელიც კამბოჯის წითელ კმერს სხვა კომუნისტური დიქტატურისგან განასხვავებდა იყო პარტიული გადაწყვეტილებების სრული გასაიდუმლოება. ამ რეჟიმმა ყველა მუშა აიძულა საერთო შავი ტანსაცმელი ეტარებინა, რათა მომხდარიყო ინდივიდის სრული იგნორირება.

ამავე წელს კმერმა საჯაროდ გამოაცხადა ახალი რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი, რითაც კოლონიზაცია და ტირანიული რეჟიმი გაუქმდებოდა. საწყის ეტაპზე რევოლუციურმა ერამ ქვეყანა მკაცრ შრომით რეჟიმში მოაქცია. დღეში 12 საათიანი მუშაობა ცხოვრების ჩვეულ წესად იქცა. ხოლო მას, ვინც სამსახურში არ გამოცხადდებოდა საბოტაჟის ბრალდებით ასამართლებდნენ. კამბოჯაში მცხოვრები ინტელექტუალური ელიტა შეაგროვეს და მასობრივად დახოცეს, რათა პოლ-პოტის ნაქადაგები

„აგრარული კომუნიზმის“ მიზნები განხორციელებულიყო. იძულებითმა შრომამ და მასობრივმა შიმშილმა მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიწირა.

კამბოჯის გენოციდის შესახებ პირველი სრული ინფორმაცია პეტერ ფრანციოს პონჩედმა თავის წიგნში „Cambodge-anée zéro" აღწერა, რის გამოც იგი დიდი ხანი იდევნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამყარო ერთხმად აღიარებს გენოციდის ფაქტს კამბოჯაში, მასზე მტკიცებულებები სრულად არ არის მოპოვებული. სწორედ ამიტომ 1994 წლის დეკემბერში შეიქმნა „პროგრამა კამბოჯაში ჩადენილი გენოციდისათვის". ამ პროგრამის ფარგლებში დაიწყო ინტენსიური მუშაობა, რათა ოფიციალურად დადგინდეს „დემოკრატიული კამპუჩიის“ რეჟიმის პირობებში (1975-1979) განხორციელებული გენოციდის ფაქტი, მისი მიზანია: 1. 1975-1979 წლებში არსებული ყველა ინფორმაციის მოგროვება და გადამუშავება. 2. 1975-1979 წლებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასამართლოსა და სპეციალური ტრიბუნალისთვის. 3. ამ ფაქტის კრიტიკული გაანალიზება. სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად კამბოჯის დოკუმენტაციის ცენტრის დირექტორის იონგ ჩანგის განცხადებას, იმის თაობაზე, რომ ოთხი წლის განმავლობაში ჩადენილ გენოციდის ფაქტზე მტკიცებულებები შეგროვილია. ამით მან დაადასტურა მზადყოფნა, ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალმა განიხილოს. ტრიბუნალის წინაშე პოლ-პოტის რეჟიმის მონაწილე ეჭვმიტანილნი წარდგებიან.

„დემოკრატიული კამპუჩიის“ პირობებში მოხდა ყველა ოპოზიციური მონარქიული და ლონ-ნოლის მიმდევართა რეჟიმის სრული ლიკვიდაცია, ისევე როგორც ვიეტნამიდან კამბოჯაში დაბრუნებული კომუნისტების.

4. გენოციდი რუანდაში. 1994 წლის 6 აპრილის შემდეგ, რაც რუ ანდის პრ ეზიდენტი ჰა ბიარიმანი გარ დაიცვალა, ქვეყანაში დაიწყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

ცამეტი კვირის განმავლობაში 500 000 ადამიანი უსასტიკესად დაიხოცა. მსხვერპლთა უმრავლესობას ეთნიკური „ტუტსები" შეადგენდნენ. დაღუპულთა შორის ეროვნული უმრავლესობის–„ჰუტების" ის ნაწილიც ერია, რომელნიც ტუტსების დაცვას ცდილობდნენ ან ამგვარ სისხლისღვრას ეწინააღმდეგებოდნენ.

რუანდაში გენოციდის დასაწყისი არ წარმოადგენდა კოლექტიური სიძულვილის ან ეთნიკური დაძაბულობის სპონტანურ გამოვლინებას, არამედ მიზნად ისახავდა ქვეყნის სათავეში მყოფი ელიტის ძალაუფლების შენარჩუნებას, რუანდის ოპოზიციური „პატრიოტული ფრონტის" დაშინების გზით. პატრიოტულ ფრონტში ტუტსები დომინირებდნენ.

თანამედროვე პირობებში თითქმის ყველა ევროპელი მეცნიერი აღიარებს, რომ რუანდაში მომხდარ გენოციდზე საერთაშორისო სამყარომ, მათ შორის გაერომ, რომლისთვისაც იმ დროს ცნობილი იყო რუანდის გენოციდი „თვალი დახუჭა". მაგალითად, 1993 წელს რუანდაში სამშვიდობო ძალები შემოვიდნენ (United Nations Assistance Mission in Ruanda), რომელთაც უნდა ეზრუნათ ქვეყნის მთავრობასა და რუანდის პატრიოტულ ფრონტს შორის მშვიდობის უზრუნველყოფაზე, რაც ვერ განხორციელდა. პრეზიდენტისა და მისი პარტიის მცდელობა განემუხტათ ეს კონფლიქტი, უშედეგოდ დასრულდა. ჰუტუ-ექსტრემისტები გენოციდს დიდი ხანი ამზადებდნენ. მათ რუანდის მოსახლეობა ერთმანეთს გადაკიდეს და ეთნიკური უმცირესობის ტუტსების მასობრივი განადგურების გეგმა დასახეს.

1994 წლის 6 აპრილს თვითმფრინავი, რომელშიც რუანდის პრეზიდენტი ჰაბიარიმანი იჯდა მძლავრმა შეიარაღებამ ჩამოაგდო. დღემდე უცნობია ვინ იყო მისი უშუალო ინიციატორი. ტუტსების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს იყო ჰუტუ-ექსტრემისტების მიერ დაგეგმილი მკვლელობა. ჰუტებმა საპირისპირო არგუმენტი წამოაყენეს და სწორედ აქედან დაიწყო ადრე დაგეგმილი და ორგანიზებული მკვლელობათა სერია ტუტსების მიმართ. გენოციდის დანაშაულს უამრავი ბავშვი, ქალი და ოპოზიციონერი ტუტსი შეეწირა.

რუანდაში მიმდინარე მოვლენებს გაერო დიდი ხანი უმოქმედოდ აკვირდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგით მეორე სამშვიდობო ძალა ქვეყანაში შემოვიდა უკვე ქვეყანას რუანდის პატრიოტული ფრონტი მართავდა.

რუანდის გენოციდის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა ევროპულ ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ რუანდის გენოციდს 500 000 ტუტსი შეეწირა, სხვანი კი მიიჩნევენ, რომ ამ ტრაგედიას 1000 000 ადამიანი ემსხვერპლა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთმა ექსპერტმა, რომელიც რუანდაში მცხოვრებ ხალხთა ემიგრაციის პროცესს იკვლევდა, დაადგინა, რომ 1994 წლის აპრილისა და ივნისის მონაკვეთში გენოციდის დანაშაულს 800 000 რუანდელი შეეწირა, ხოლო დემოგრაფი უილიამ ზალცერი ამტკიცებს, რომ ეს რიცხვი 500 000 ადამიანს ითვლის. პროფესორი ჟერარ პრუნიერი ეყდნობა შემდეგ არგუმენტს: „რუანდაში გენოციდის შემდეგ, კერძოდ ივნისის თვეში 130 000 ტუტსი ცხოვრობდა. 20 000 ტუტსი კი ზაირიდან და ტანზანიიდან შემოვიდა (სულ 150 000 ადამიანი). გენოციდამდე რუანდა 657 000 ეთნიკური ტუტსით

იყო დასახლებული. თუ ამ რიცხვს 150 000 გადარჩენილს გამოვაკლებთ ჯამში გენოციდის შედეგად დაღუპულ 507 000 ტუტსს მივიღებთ".

რუანდაში მოწყობილი გენოციდის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ დააფუძნა საერთაშორისო ტრიბუნალი რუანდისათვის (International Criminal Tribunal for Rwanda ICTR). ტრიბუნალს უნდა განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა 1994 წელს რუანდის ტერიტორიაზე ჩადენილი გენოციდის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევის ფაქტებზე. ეს ტრიბუნალი გაეროს უშიშროების საბჭომ დააფუძნა 995 რეზოლუციით 1994 წლის 8 ნოემბერს არუშაში (ტანზანიაში).

ერთმანეთისაგან განასხვავებენ რუანდისათვის შექმნილი ტრიბუნალის სამ ძირითად უფლებამოსილებას:

1. **უფლებამოსილება ჩადენილი დანაშაულის დროის მიხედვით:** ამ ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე ჩადენილ ქმედებებზე.

2. **პერსონალური და სივრცობრივი უფლებამოსილება:** ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება რუანდისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედებებისათვის, რომელიც განხორციელდა რუანდელების ან მათგან განსხვავებული ეთნიკური ან ეროვნული წარმომაველობის ადამიანების მიმართ.

3. **უფლებამოსილება ჩადენილი დანაშაულის მიხედვით:** ამ ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება გენოციდზე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, გენფის კონვენციის მესამე მუხლის დარღვევებზე და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზულ დარღვევებზე.

§ 4. გენოციდი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით

გენოციდის დანაშაულს, რომელიც საქართველოს მიმდინარე სისხლის სამართლის კოდექსით არის მოწესრიგებული, დაეთმო ამ წიგნის პირველი თავი. ამით ცხადი გახდა გენოციდის დანაშაულის შინაარსი, მისი კოდექსისეული განმარტება და რამდენიმე ხარვეზი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიღებიდან დღემდე წითელ ზოლად გასდევს მის 407-ე მუხლს. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია ზოგიერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინება, რაც საშუალებას მოგვცემს გენოციდი შედარებით სწორი ფორმით ავსახოთ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. რამდენიმე ევროპული ქვეყნის კანონმდებლობით გენოციდის დანაშაულის შინაარსი არ არის ერთგვაროვანი, რაც განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით არსებული საქართლებრივი, პოლიტიკური ფაქტორებით და იმით, რომ ევროპული ქვეყნების ერთმანაწილმა სისხლის სამართლის კოდექსში მოახდინა „გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციის" პირდაპირი ტრანსფორმაცია, ხოლო ნაწილმა – არაპირდაპირი. ამასთან, რამდენიმე ევროპული ქვეყანა გენოციდის უარყოფისათვის აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგალითად, თუ საფრანგეთის სახელმწიფოში თურქების მიერ სომხებზე განხორციელებული გენოციდის უარყოფა დასჯადად არის გამოცხადებული, თურქეთში პირიქით, ისჯება ის, ვინც აღიარებს გენოციდის ამ შემთხვევას. მაგ: 2005 წელს ამ ბრალდებით იქნა დაკავებული ერთ-ეროი თურქი ჟურნალისტი, რომელიც ჟურნალ „აგოსში" ასაბუთებდა სომხე-

ბის წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის აქტს. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის შესაბამისად, ის, ვინც 1915-1917 წლებში სომხების წინააღმდეგ მოწყობილ მკვლელობათა სერიას გენოციდად აღიარებს ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. სწორედ ამ ბრალდებით გაასამართლეს თურქეთში მცხოვრები ორთოდოქსი მღვდელი, რომელმაც 2000 წლის 4 ოქტომბერს თურქულ გაზეთ „Hurriyet"-ს მისცა ინტერვიუ და თურქების მიერ სომხებზე და ქრისტიანებზე მოწყობილი გენოციდი ოფიციალურად დაადასტურა.

<u>1. გენოციდი შვეიცარიის სსკ-ის მიხედვით</u>. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე (ძალაშია 2000 წლის 15 დეკემბრიდან) მუხლის თანახმად, ის, ვინც ქმედებას ჩადის იმ განზრახვით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს ჯგუფის წევრთა სიცოცხლე მათი სხვა სახელმწიფოსადმი კუთვნილების, განსხვავებული რასის, რელიგიის და ეთნოსის გამო, ისჯება არა ნაკლებ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით ან უვადო პატიმრობით. ამასთან, ეს ქმედება შეიძლება გამოვლინდეს: ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობაში და მათი ჯანმრთელობისათვის ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენებაში; ბ) ცხოვრების მძიმე პირობების შექმნაში; გ) ამგვარი ჯგუფის შიგნით შობადობის შემცირებაში; დ) ბავშვის ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაცემაში.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ის, ვინც გენოციდი უცხოეთში ჩაიდინა და გადაცემა მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია, ექვემდებარება შვეიცარიის იურისდიქციას და პასუხს აგებს შვეიცარიის სსკ-ის ამავე მუხლით.

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ოფიციალურად აღიარე-

ბული გენოციდის დანაშაულის უარყოფისათვის. ეს უარყოფა უნდა იყოს განზრახი, ხოლო მოტივი რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური, ან ეროვნული შეუწყნარებლობა ანდა სიძულვილი. ასეთ დროს გამოდგება ასევე დისკრიმინაციული მოტივი. ამიტომ, წმინდა მეცნიერულ და იურიდიულ არგუმენტებზე დაფუძნებული მოსაზრება გენოციდის უარყოფის შესახებ არ შეიძლება დასჯადად გამოცხადდეს, რადგან ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში, გამოირიცხება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები. ამ თვალსაზრისით, საფრანგეთისაგან განსხვავებით, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი არის მეტად პროგრესული (Prima facia).

<u>2. გენოციდი ბელგიის სსკ-ის მიხედვით.</u> 1995 წლის 23 მარტს ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს სპეციალური ცვლილება, რომლის თანახმადაც, ის, ვინც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ებრაელების წინააღმდეგ ჩადენილ გენოციდს უარყოფს ან გენოციდის ამ ფაქტს გაამართლებს ისჯება 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით 26-დან 5000 ევროს ოდენობით. სისხლის სამართლის ბელგიელი კომენტატორების შეხედულებით, იმისათვის, რომ გენოციდის უარყოფა კანონდარღვევად ჩაითვალოს, გენოციდის ფაქტი უნდა იყოს ოფიციალურად დადასტურებული, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენით და აღიარებული საერთაშორისო სამყაროს მიერ.

1995 წლიდან ბელგიის პარლამენტმა დაიწყო ინტენსიური მუშაობა კანონპროექტზე სახელწოდებით: „კანონი გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის". იგი სრულ შესაბამისობაში უნდა მოსულიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებასთან. ამ კანონის მიღების მთავარი

საფუძველი იყო ყოფილი ბელგიის კოლონიის, რუანდის ტერიტორიაზე ჩადენილი გენოციდისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

<u>3. გენოციდი გერმანიის სსკ-ის მიხედვით.</u> გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით მოცემული გენოციდი, თითქმის იდენტურია „გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციაში" ასახული გენოციდის დანაშაულისა. ამ მუხლით გენოციდი გამოიხატება ქმედებაში, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ მოსპობას. კერძოდ: ა)ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობას; ბ) ჯგუფის წევრთათვის მძიმე ფიზიკური და სულიერი ზიანის მიყენებას; გ) ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურებას; დ) შესაბამისი ზომების მიღებას ასეთ ჯგუფში შობადობის შემცირების მიზნით; ე) ბავშვის ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაცემას.

ამ ქმედებისათვის გერმანიის სსკ-ის 220-ე მუხლით სასჯელის ზომად დაწესებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თუ არსებობს განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოებანი სანქციად დაწესებულია არანაკლებ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერმანელი სისხლის სამართლის კომენტატორები მიიჩნევენ, რომ გენოციდთან მიმართებაში ისეთი ტერმინის ხმარება, როგორიცაა „Völkermord" (სიტყვა-სიტყვით ხალხის მკვლელობა) არასწორია, რადგან გენოციდი ყოველთვის არ შეიძლება მკვლელობაში გამოვლინდეს. ასეთ დროს გადამწყვეტია ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის მიზანი, ხოლო თუ ეს ნიშანი სახეზეა,

მაშინ ასეთი ჯგუფის წევრთათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაც საკმარისია, რათა მას გენოციდის დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცეს.

<u>4. გენოციდი ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.</u> ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი უკანასკნელად მიღებული იქნა 1974 წელს, თუმცა მასში 2000 წლის აგვისტოს თვეში არსებითი ცვლილებები შეეიდა. ავსტრიის სსკ-ით გენოციდის დანაშაული მოცემულია უკანასკნელ, 25-ე კარში და ეთმობა ამავე კოდექსის 321-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად, ის, ვინც განზრახ ჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული საეკლესიო ან რელიგიური ჯგუფის, განსაზღვრული რასის, ეროვნების ან ეროვნულობის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებას ან სახელმწიფოს მიერ ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობას, ფიზიკური ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენებას, მათთვის ისეთი პირობების შექმნას, რომელსაც შეუძლია მათი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვიოს, ბავშვის იძულებით გადაცემას ერთი ჯგუფიდან მეორეში მათთვის თავისუფლების ჩამორთმევის მიზნით, ისჯება უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით შეთქმულება თანამონაწილეთა ან თანაამსრულებელთა შორის, რაც მიზნად ისახავს გენოციდის ჩადენას, კერძოდ ამ მუხლის პირველი ნაწილით ჩამოთვლილ ქმედებათა განხორციელებას, ისჯება 1-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 321-ე მუხლს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: 1. ამ კოდექსის 25-ე, უკანასკნელ თავში მხოლოდ გენოციდის დანაშაულია მოცემული. 2. ამ მუხლით, გენოციდისათვის დაწესებულია აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ გე-

ნოციდის ჩამდენი პირის მიმართ, სასამართლო სანქციის სომად იყენებს მხოლოდ უვადო თავისუფლების აღკვეთას. 3. ამ მუხლის მეორე ნაწილი გენოციდის შეთქმულებისათვის ითვალისწინებს 1-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მართალია, ავსტრიის სსკ-ით შეთქმულება არ არის დასჯად ქმედებად გათვალისწინებული, მაგრამ გენოციდისათვის კა ნონმდებელი მას დას ჯადად აცხ ადებს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ავსტრიის სსკ-ის 321-ე მუხლი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციასთან (იხ. I თავის მეორე პარაგრაფი).

<u>5. გენოციდი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სსკ-ის მიხედვით</u> რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გენოციდის დანაშაულს ეთმობა უკანასკნელი XLII თავი (დანაშაული მსოფლიოსა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ) და მოცემულია 357-ე მუხლში. რუსი სისხლის სამართლის მკვლევარები XLII თავს ყოფენ ორ ჯგუფად: 1. დანაშაული საერთაშორისო სამყაროს წინააღმდეგ (აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, წარმოება – მუხლი 353; მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ – მუხლი 354; მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება – მუხლი 355) და 2. დანაშაული კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმგეგ (გენოციდი – მუხლი357; ეკოციდი – მუხლი 358).

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სსკ-ის 357-ე მუხლით გენოციდად ითვლება ქმედება ჩადენილი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, მათი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, შობადობის შემცირებით, ბავშვის იძუ-

ლებითი გადაცემით ერ თი ჯგუფიდან მ ეორეში, ასეთი ჯგუფის წევრთა იძულებითი გასახლებით ან მათთვის მძიმე პირობების შექმნით და ისჯება 12-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სსკ-ის 357-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება თითქმის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული გენოციდის იდენტურია, ორი გამონაკლისის გარდა: 1. რუსეთის სსკ-ის 357-ე მუხლით ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის იძულებითი გასახლება ასეთი ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობის მიზნით კვალიფიცირდება გენოციდის დანაშაულად. 2. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სსკ-ით გენოციდის დანაშაულისათვის დაწესებულია 12-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

6. <u>**გენოციდი ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით**</u>. გენოციდის დანაშაული მოცემულია ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის პირველივე თავში (დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაული) და ეთმობა 61-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით საერთაშორისო სამართლით დადგენილი გენოციდი ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მაშასადამე განსრახი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობას, ჩადენილი ოკუპაციით ან ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, მათთვის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენებით, ბავშვის ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებითი გადაცემით, დეპორტაციით, ძირძველი მოსახლეობის საცხოვრებელი ტერიტორიიდან აყრით, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოცია-

ლური უფლებების დარღვევით ან შეზღუდვით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 8-დან 15 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ამ მუხლის მეორე ნაწილით, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა შეთანხმება გენოციდზე იწვევს პასუხისმგებლობას დანაშაულში თანამონაწილეობისთვის.

თავი III
გენოციდი აფხაზეთში ქართველი ხალხის წინააღმდეგ

§ 1. გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დაწყების წინა პერიოდი აფხაზეთში

გენოციდის დანაშაულმა XX საუკუნის მსოფლიოს უდიდესი მსხვერპლი და ენით აღუწერელი ტრაგედია მოუტანა. ხშირად გენოციდის დანაშაულისადმი არაჯეროვანი მიდგომა და ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამართლებრივი ბაზის უქონლობა სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში და საერთაშორისო სანქციებში ვლინდება.

სამწუხაროდ, საქართველომ უახლოესი ისტორიის მანძილზე, გენოციდის დანაშაულის ტრაგიკული შედეგი თავის თავზე განიცადა. 90-იანი წლებიდან აფხაზეთში ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდი, ცხადია მე, როგორც ამ წიგნის ავტორს, გულგრილს ვერ დამტოვებდა. ამდენად, არ შემეძლო სამართლებრივი შეფასების გარეშე დამეტოვებინა გენოციდის ეს ფაქტი. ნაშრომის შესავალში აღნიშნულია, რომ ამ წიგნის შექმნის მთავარი მიზანი გენოციდის თემატიკაზე თითქმის პირველი მეტნაკლებად სრულყოფილი სახელმძღვანელოს შექმნა და რაც მთავარია, აფხაზეთში ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის და ეთნიკური წმენდის იურიდიული შეფასებაა.

აფხაზეთში ქართველი ხალხის მიმართ მოწყობილი გენოციდის თემატიკას, ქართულ ენაზე მხოლოდ რამდენიმე მცირე მოცულობის სტატია და პუბლიკაცია ეთმობა, რომლებიც სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთებსა და სამეცნი-

ერო შრომებშია მოცემული. იმისთვის, რომ აფხაზეთის კონფლიქტით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებას სრული წარმოდგენა შეექმნას აფხაზეთში მომხდარ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე, აუცილებელია, თითოეული ასეთი ნაშრომის მოძიება და გულდასმით შესწავლა, რაც ხშირად მკითხველთათვის მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მიზნად დავისახე, შემესწავლა ყველა ეს მასალა და პუბლიკაცია და წარმომედგინა ჩემი იურიდიული შეფასება აფხაზეთში მომხდარ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე ამ წიგნის უკანასკნელ თავში.

იმისათვის, რომ წინამდებარე ნაშრომის მესამე თავი ობიექტური ფორმით მიმეწოდებინა მკითხველისათვის, ჩემს თავს ეუკარნახე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დამეიწყებინა, რომ მე თვითონ იმ გულნატკენი ერის შვილი ვარ, რომლის მიმართაც აფხაზეთში მოეწყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა. ამავე დროს, მე, როგორც იურისტს და ამ შემთხვევაში, გენოციდის მკვლევარს, უმთავრეს მოვალეობად მიმაჩნია პრობლემა წარმოვადგინო სამართლებრივი კუთხით და აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი დავასაბუთო წმინდა იურიდიული არგუმენტებით.

მეცნიერთა ერთი ნაწილი აფხაზეთის გენოციდზე მსჯელობისას ხშირად იყენებს ისეთ გამონათქვამს როგორიცაა, „აფხაზების მიერ მოწყობილი გენოციდი ქართველი ხალხის მიმართ", რაც საკითხისადმი არასწორ მიდგომად მიმაჩნია, რადგან: ა) ქართველთა მიმართ მოწყობილ გენოციდში აფხაზებთან ერთად სხვა ეთნიკური დაჯგუფებებიც მონაწილეობდნენ და ბ) ამ გამონათქვამით გამოირიცხება როგორც გარეშე ძალების, ისე დაქი-

რავებული, სხვა ეთნიკური წარმომაელობის ბანდ-ფორმირებების პა სუხისმგებლობის და ბრა ლეულობის სა - კითხი. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის III თავის სახელწოდება- „გენოციდი აფხაზეთში ქართველი ერის წინააღმდეგ," ამ უსუსტობის თავიდან აცილების ერთგვარი მცდელობაა.

როგორც ძველ ქართული საისტორიო წყაროებით, ისე უძველესი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებით, აფხაზეთი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ითვლებოდა ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სოციალურ- პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის, კერძოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარება, განმტკიცებული იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული „აფხაზეთის ავტონომიის აქტით".

აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, არჩეულმა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო სამართლის საფუძველზე, თავისი 1919 წლის 20 მარტის სხდომაზე, აფხაზეთის სალხების სახელით დაადგინა:

ა) აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას".

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული აფხაზეთის ავტონომიის აქტი, 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე მოიწონა საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ და თავისი რეზოლუციით დაადგინა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება, როგორც

სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი, მზრუნველობას არ მოაკლებს აფხაზ ხალხს და მათ ჭირსა და ლხინს საკუთარ ჭირად და ლხინად მიიჩნევს. ცხადია, თითოეული ასეთი დოკუმენტის უმთავრეს გარანტს წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი, 1921 წლის კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის 107-ე მუხლი საქართველოს განუყოფელ ნაწილებს: აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსულმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) – ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლებას ანიჭებს.

ცხადია, ეს კონსტიტუცია წარმოადგენდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან გარანტს, თუმცა, როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს მოახდინა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაცია, რითაც უხეშად დაირღვა 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სსფ რესპუბლიკას შორის. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი იღებდა ვალდებულებას უარი ეთქვა ყოველგვარ ჩარევაზე საქართველოს საშინაო საქმეებში.

სამხედრო ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარდა საბჭოთა მმართველობა და 1922 წელს მიღებული იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომლითაც აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით, შედიოდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში. მომდევნო პერიოდის საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციებიც (1927,1937, 1978წ) აფხაზეთს უშუალოდ აღიარებდნენ საქართველოს განუყოფელ ნაწილად. როგორც ცნობილია, 1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო რიგით მეოთხე და

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის პირობებში უკანასკნელი კონსტიტუცია. სწორედ მან დაუდო დასაბამი 1978 წლის 6 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებას. მისი პრეამბულა პირდაპირ განსაზღვრავდა აფხაზეთის ტერიტორიასა და მის ხალხს სრულიად საქართველოს ტერიტორიისა და მისი ხალხის განუყოფელ ნაწილად, ხოლო ამავე კონსტიტუციის პირველი მუხლით აფხაზეთი მოიხსენიება როგორც საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული და მისი პოლიტიკური წყობილების ფორმად დადგენილია დემოკრატიული რესპუბლიკა.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის პირობებშიც კი, გარეშე ძალების არაერთი მცდელობის მიუხედავად, რაც მიზნად ისახავდა ამ ორ ერს შორის ეთნიკური შუღლის გაღვივებას, ქართველი და აფხაზი ხალხი მტკიცედ ინარჩუნებდა ხანგრძლივ ისტორიულ წარსულზე დაფუძნებულ ერთიანობას.

როგორც გენოციდის მსოფლიო პრაქტიკამ, ისე 90-იანი წლების აფხაზეთის კონფლიქტის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი წარმოადგენდა არა აფხაზი ხალხის, როგორც ერთობის, არამედ აფხაზეთის სეპარატისტული ჯგუფების მიერ პროვოცირებულ დანაშაულებრივ აქტს. ამის დასაბუთება არ არის რთული, თუ ჩვენ ამ ორი ერის ისტორიულ წარსულს ჩავუღრმავდებით, რომელიც მჭიდრო მეგობრობას, კულტურულ ერთიანობას და მშვიდობიან თანაცხოვრებას ეფუძნებოდა. მაშასადამე, 90-იანი წლებიდან აფხაზეთში წარმოებული ეთნო-კონფლიქტი არ განეკუთვნებოდა აფხაზი და ქართველი ხალხის, ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივით განპირობებულ, დაპირისპირების პრიმიტიულ გამოვლინებას. ე.ი. იმ დროს ქართველ და აფხაზ

ხალხს შორის არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ეროვნული ან რასობრივი შეუწყნარებლობის გამო დაპირისპირებისა და ეთნოკონფლიქტის წარმოშობის საფუძველი, მითუმეტეს მაშინ, როცა აფხაზეთის ფართო ავტონომიის პირობებში სამართლებრივად დაცული იყო არა მხოლოდ აფხაზი ხალხის, არამედ ყველა სხვა უმცირესობის, კერძოდ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა უფლებები. ამას განამტკიცებდა როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე კონსტიტუციები.

აფხაზეთი იმ დროს წარმოადგენდა სრული ავტონომიის კლასიკურ ნიმუშს. ამის დადასტურება არ არის რთული თუ ერთმანეთისაგან გაემიჯნაეთ ავტონომიის სამ სახეს: 1. სრული ავტონომია. 2 ნაწილობრივი ავტონომია და 3. შეზღუდული ავტონომია.

1. სრული ავტონომიის დროს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ოლქი ან რესპუბლიკა თავის საშინაო საქმეებში აბსოლუტურად დამოუკიდებელია და თავად განსაზღვრავს თავისი განვითარების სტრატეგიას, თუმცა იგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

2. ნაწილობრივი ავტონომია ისეთი ავტონომიაა, რომელსაც კონსტიტუციის ან 'შესაბამისი კანონის თანახმად გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი და წარმოადგენს დეფაქტო ნაწილობრივ ავტონომიას. ასეთებია, მაგ: იტალიის სასაზღვრო რეგიონი ვენეცია, ტერენტინო სამხრეთი ტიროლი. იტალიაში მათ ავტონომიური რეგიონები ეწოდებათ. ესპანეთში ასეთი ავტონომიური რეგიონების დამოუკიდებლობას კონსტიტუცია განსაზღვრავს. ასეთებია, მაგ: კა-

ტალონია, ბასკეთი. ისინი ნაწილობრივი ავტონომიით სარგებლობენ.

3. შეზღუდული ავტონომია ისეთი ავტონომიაა, რომლის უფლებამოსილებაც შეზღუდულია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თუმცა მას გააჩნია განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში დამოუკიდებლობა. მაგ: შვეიცარიის კანტონები.

მაშინდელი აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი, როგორც ჩანს, მოცემული სამი ავტონომიიდან ყველაზე მეტად მიესადაგებოდა სრული ავტონომიის მოდელს. აქ განსაკუთრებულად იყო დაცული ეროვნული უმცირესობების უფლებები, უზრუნველყოფილი იყო მათი პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობა. ამდენად იგი ატარებდა კულტურული ავტონომიის ნიშნებსაც. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური საკითხები ექვემდებარებოდა ადგილობრივი ოგანოების მართვა გამგებლობას. ამიტომ, აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც ქართველთა მიმართ მოწყობილ გენოციდს ვითომდა ქართველების მიერ აფხაზი ხალხის რასობრივი დისკრიმინაციის მოტივით ამაროლებს, ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია.

ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც აფხაზეთის არალეგიტიმური მთავრობა ცდილობს აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა „სამართლებრივი" ფორმით დაადასტუროს არის ხალხის თვითგამორკვევის უფლება (მაგალითად, 1994 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის მდგომარეობით განსაზღვრულია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით), თუმცა ეს „დასაბუთება" აბსოლუტურად მოკლებულია სწორ

იურიდიულ არგუმენტაციას და წარმოადგენს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას. აფხაზი სეპარატისტების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებასა და ერის თვითგამორკვევის უფლებას შორის არ შეიძლება პარალელების გაკეთება.

ერის თვითგამორკვევის უფლება, როგორც ტერმინი, პირველად დამკვიდრებული იქნა XX საუკუნეში ამერიკის პრეზიდენტის უილსონის მიერ, რომლითაც ყველა ერი თავისუფალია დამოუკიდებლად განსაზღვროს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ეკონომიკური და კულტურული განვითარება. თუმცა ხალხის მიერ საკუთარი ბედის განსაზღვრა არ ნიშნავს გამოყოფას. ერთ შემთხვევაში, თვითგამორკვევის უფლების გამოყენებით, ქვეყანას მაშინ ენიჭება გამოყოფის უფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი თუ ეს ქვეყანა თავისი ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას და შემდგომში მოხდა ამ ტერიტორიის ოკუპაცია ან ანექსია (მაგ: 1830 წელს საფრანგეთის მიერ მოხდა ალჟირის ოკუპაცია და 1962 წლამდე ითვლებოდა კოლონიად, ხოლო 1882 წელს ინგლისის მიერ მოხდა ეგვიპტის ოკუპაცია და წარმოადგენდა მის კოლონიას 1914 წლამდე). ასეთ დროს თვითგამორკვევის მიზანია ქვეყნის კოლონიური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. ხოლო, მეორე მხრივ, როცა მთელი ისტორიის მანძილზე სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში კომპაქტურად არიან დასახლებულნი ეთნიკური ჯგუფები, ასეთ დროს თვითგამორკვევა გულისხმობს მათთვის ამავე სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიის მინიჭებას განსაზღვრული ფორმით (კულტურული ავტონომია, შეზღუდული ავტონომია და სხვ.). ასეთ დროს ავტონომიას გააჩნია

უფლება განსაზღვროს თავისი განვითარების პოლიტიკა, თუმცა იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ სახელმწიფოს კონსტიტუციას, რომლის შემადგენლობაშიც ეს ავტონომია იქმნება.

80-90-იანი წლებიდან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია არსებითად შეიცვალა. რუსეთის იმპერიული ძალების მიერ მართულმა აფხაზი სეპარატისტების ერთმა ჯგუფმა მოახდინა ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების უზურპაცია. აფხაზეთში იწყება ეროვნული ნიშნით საზოგადოების დიფერენციაცია. ამის ნათელი დასტურია უნივერსიტეტის, სამედიცინო დაწესებულებების, სკოლების და საფეხბურთო გუნდების დაყოფა მონო-აფხაზურ და მონო-ქართულად. აფხაზი სეპარატისტები ხალხში მასობრივად ნერგავდნენ ქართველთა სიძულვილის პროპაგანდას, ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ქართველ ერს სურს აფხაზი ხალხის კულტურული თვითმყოფადობის მოშლა და მათი იძულებითი ასიმილაცია. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ ამავე შინაარსის მოწოდებებს შეიცავდა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ". ამ დოკუმენტში აფხაზი სეპარატისტები, ისტორიული ფაქტების აბსოლუტური გაყალბების გზით, ასაბუთებდნენ აფხაზეთის სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად შექმნის აუცილებლობას. ამ დოკუმენტით, ცხადია, უხეშად ირღვევოდა საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციები, რამდენადაც ისინი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს განუყოფელ ნაწილად

აღიარებდნენ. ცნობილია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია და ყველა სხვა კანონი თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მასთან. ამასთან, იმ დროს მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლით აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციითა და აფხაზეთის კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, ხოლო მესამე მუხლის მეორე ნაწილით აფხაზეთის ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებს. ამავე კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად კი აფხაზეთის ტერიტორიაზე საეალდებულოა საქაროველოს კანონების შესრულება.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ეს დოკუმენტი მკაცრად დაგმო საქართველოს უზენაესმა საბჭომ და 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით ცნო ბათილად. მასში ნათქვამია: „ასეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც აყალბებენ ისტორიულ ფაქტებს და თანამედროვეობის პოლიტიკურ რეალიებს, ზიანს აყენებს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ხალხების ინტერესებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობებს, ართულებს დემოკრატიულ პროცესებს და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სადაც აფხაზი ხალხის ინტერესები, ისევე როგორც რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესები კანონით იქნება გარანტირებული და დაცული“.

აფხაზეთში აგორებული ანტიქართული მოძრაობა თავდაპირველად წმინდა იდეოლოგიურ სახეს ატარებდა, მისი მიზანი იყო ქართველი ხალხისა და აფხაზების ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირება. სამწუხაროდ, ეს მიზანი

შედგა და 1992 წლიდან აფხაზეთში დაიწყო ეთნიკური დაპირისპირების პირველი ეტაპი.

1992 წლის 23 ივნისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის" სხდომაზე არყოფნის შედეგად გააუქმა 1978 წლის კონსტიტუცია და დაადგინა, რომ ძალაში უნდა შეეიდეს 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი.

როგორც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ, ისე 1925 წლის კონსტიტუციის პროექტის ამოქმედება და აფხაზეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება, სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად, წარმოადგენდა ეთნო-კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც შეწყდა 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება.

1978 წლის კონსტიტუციის ბათილად გამოცხადება წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას, რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, 1992 წლის 28 ივლისის დადგენილებით, 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის დადგენილება ძალადაკარგულად გამოაცხადა. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ხსენებული დადგენილება წარმოადგენდა როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის უხეშ დარღვევას. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 162-ე მუხლის თანახმად „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ხდება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით, არანაკლებ ხმების ორი მესამედისა. სესიას კი სულ 36 დეპუტატი ესწრებოდა, მაშინ,

როცა კონსტიტუციური ცვლილებების მისაღებად საჭირო იყო სულ ცოტა 43 დეპუტატის ხმა.

1992 წლის აგვისტოს თვიდან ეთნო-კონფლიქტი თანდათან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. პირველი შეტაკება მოხდა ოჩამჩირის რაიონში, ხოლო შემდგომ, გულრიფშის რაიონში. შეიარაღებული დაპირისპირების პარალელურად მიმდინარეობდა ქართველი ერის წინააღმდეგ გენოციდისა და ეთნიკური წმენდისათვის მზადება. საქართველოში დაიწყო ბოევიკების მოზიდვა საქართველოს ფარგლებს გარედან. ადიღეის კულტურის დღეების ჩატარების საბაბით, ჩამოვიდნენ შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც განლაგდნენ გუდაუთის რაიონში და სოხუმის სპორტულ ბაზაზე ეშერაში. მიმდინარეობდა სამხედრო მზადება და ახალი ბატალიონების ფორმირება. ცხადია, აფხაზი სეპარატისტების მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი იყო ასეთი ბატალიონების იარაღით აღჭურვა. იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაში, რუსული რეაქციული ძალები ყველანაირად ხელს უწყობდნენ აფხაზებს, შეესყიდათ შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა, რაც უტყუარი წინაპირობა იქნებოდა ჩაფიქრებული მიზნის განსახორციელებლად.

ეტაპობრივად დაიწყო საკადრო პოლიტიკაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. 1992 წლის 24 ივნისს შეიარაღებულმა პირებმა სოხუმში ალყა შემოარტყეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას, გამოცხადდა გაფიცვა. ამის გამო, შეიქმნა საშიშროება, რომ მოვლენების შემდგომი განვითარება სიტუაციას უმართავს გახდიდა. სწორედ შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: „დაევალოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბ-ნ თა-

მაზ ნადარეიშვილს, მდგომარეობის შემდგომი გართულების, მოსალოდნელი დაპირისპირებისა და შეტაკების თავიდან აცილების მიზნით კოორდინაცია გაუწიოს სტაბილიზაციის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას აფხაზ მოსახლეობასთან".

ცხადია, იმ პერიოდისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ამ დადგენილებას წმინდა ფორმალური ხასიათი გააჩნდა. ასეთ სამშვიდობო ინიციატივებს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა არ შეიძლებოდა გაგებით მოკიდებოდა, რადგან მრავალი წლის განმავლობაში მ'სადდებოდა ის, რამაც შემდგომ გამოიწვია ქართველების გენოციდი. ამიტომ ყოველი ასეთი ინიციატივა წარუმატებლობისთვის იყო განწირული.

უდავოა, რომ რუსეთის ყოველ ინიციატივას აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიმართ გააჩნდა საკმაოდ დიდი გავლენა, ამიტომ შექმნილ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებამ მართებულად მიიჩნია ინტენსიური მოლაპარაკებები დაეწყო რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში შედგა მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მონაწილეობით. ამ შეხვედრისას მიღებული იქნა შემაჯამებელი დოკუმენტი, რომლითაც მხარეები აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კისრულობდნენ ვალდებულებას თავი შეეკავებინათ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედებისაგან.

დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად მხარეებს დაევალათ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და აფხაზეთიდან მოცილება მშვიდობისა და მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით.

ამ დოკუმენტის ძალით მხარეებმა დაადასტურეს, რომ აუცილებელია დაცული იქნეს საერთაშორისო ნორმები ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარგში, არ დაუშვან მოქალაქეთა დისკრიმინაცია ეროვნული, ენობრივი ან რელიგიური ნიშნის მიხედვით. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, რომელნიც იმყოფებოდნენ საქართველოს რესპუბლიკაში, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, ევალებოდათ მკაცრად დაეცვათ ნეიტრალიტეტი და არ მიეღოთ მონაწილეობა შინაურ კონფლიქტებში.

დოკუმენტის მიხედვით, ყველა კონფლიქტის მონაწილე შეიარაღებულ ფორმირებას უნდა შეეწყვიტა ცეცხლი 5 სექტემბრის 12 საათიდან. კონფლიქტის ზონაში უნდა განხორციელებულიყო ეფექტიანი ღონისძიებანი რაც უზრუნველყოფდა ძალადობის შეწყვეტას და დამნაშავეპირთა პასუხისგებაში მიცემას.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს ე. შევარდნაძემ, ბ. ელცინმა, ვ. არძინბამ, თ. ნადარეიშვილმა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა.

ზემოხსენებულ შეთანხმებას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში უნდა მოჰყოლოდა ცხოვრების მშვიდობიან რეჟიმში გადაყვანა, თუმცა მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აფხაზეთის კონფლიქტი ვერ გაანელა. შეთანხმების თანახმად, 5 სექტემბრიდან, ქართულმა ჯარებმა პოზიციები დატოვეს. ამით ისარგებლა აფხაზურმა მხარემ და დაიწყო ქართველი ხალხის ეთნიკური წმენდა ეროვნული კუთვნილების და პოლიტიკური მრწამსისათ-

ვის. ასე რომ, ზემოხსენებული შეთანხმების პირობები უხეშად დაირღვა როგორც რუსული, ისე აფხაზური მხარის მიერ.

ის ფაქტი, რომ აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთის რეაქციული ძალების მიერ იყო პროვოცირებული, შეიძლება მრავალი არგუმენტით დავასაბუთოთ. თუ კონფლიქტის საწყის ეტაპზე აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებს რუსეთი ფარულად თანაუგრძნობდა, 1992 წლიდან მან დაიწყო ღია სამოქალაქო და შეიარაღებული დაპირისპირება ქართველი ერის წინააღმდეგ. 1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ". დადგენილებაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭო გმობდა საქართველოს მოქმედებას და აფხაზეთის კონფლიქტის ცალმხრივი შეფასებით საქართველო აგრესორ მხარედ გამოჰყავდა. ამავე დადგენილებით რუსეთმა შეუწყვიტა საქართველოს შეიარაღების, საომარი ტექნიკის, ტყვია-წამლის გადაცემა, ასევე მაკომპლექტებელი მასალებისა და ნედლეულის მიწოდება საწარმოებისათვის, რომლებიც საბრძოლო მასალებს ამზადებდნენ. სამაგიეროდ რუსეთი ყველა საჭირო შეიარაღებით ამარაგებდა აფხაზურ მხარეს და ამით ქმნიდა, ქართველების წინააღმდეგ, გენოციდისა და ეთნო-წმენდისათვის ხელსაყრელ პირობებს. მაგალითად, 1993 წლის აგვისტოს თვიდან აფხაზეთში რუსეთიდან შემოდიოდა ავტომატები, ტყვიამფრქვევები, მრავალი სახის ცეცხლსასროლი იარაღი, სამხედრო ტექნიკა და თვითმფრინავები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ გუდაუთაში ბომბორის, ქ. როსტოკისა და მაიკოპის სამხედრო აეროდრომებზე. სწორედ ამ პერი-

ოდიდან იწყება აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

§ 2. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდის ზოგადი ანალიზი

აფხაზეთში, 90-იანი წლებიდან, ქართველი ხალხის მიმართ მოწყობილი მასობრივი მკვლელობების სერია გენოციდის უპირობო ნიმუშია ამ თვალსაზრისით თითქმის ყველა სწორად მოაზროვნე ადამიანის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია. ზოგი აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი სისასტიკის უშუალო თვითმხილველია და ისინი თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიციით ხსნიან გენოციდის დანაშაულს, ზოგი პოლიტიკურ-შეფასებითი არგუმენტებით ცდილობს დაასაბუთოს ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი. ამ პრობლემებზე შექმნილ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო შრომებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

თუმცა, აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სწორ იურიდიულ შეფასებასაც. ამდენად იურისტებისათვის, ისევე როგორც მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება პრობლემის წმინდა სამართლებრივი კუთხით შეფასება და აფხაზეთის ტრაგედიის განხილვით იმ ფაქტების დადგენა, რომლებიც ქმნიან გენოციდის დანაშაულის შემადგენლობას როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტით, ისე გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციით.

1993 წლის 28 სექტემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთში ქართველი ერის მიმართ მოწყობილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტებზე. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა აფხაზეთში ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტების შესწავლა, მტკიცებულებების მოძიება შემდგომში ჰაგის საერთაშორისო სასამართლოსთვის გადასაცემად. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ გამომძიებლები, მეცნიერები, სამართლის ექსპერტები და მედიის წარმომადგენლები. კომისიამ აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობა 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს დაიწყო. აფხაზეთის ტრაგედია ვრცლად წარმოადგინა იმჟამინდელმა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეტ ბაბილაშვილმა საერთაშორისო კონფერენციაზე თემით: „ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკა აფხაზეთში – საქართველო როგორც აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი“.

აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე აფხაზი სეპარატისტები შეუდგნენ ქართველი მოსახლეობის მიმართ წინასწარ დაგეგმილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის განხორციელებას. დღესდღეობით საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოეპოვება საკმაოდ მრავალმხრივი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტებს. თუმცა ამ ფაქტების დაფიქსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია. საქართველო არამაროებულად მიიჩნევს პრობლემისადმი ამგვარ მიდგომას და მისგან მოითხოვს ერთნაირი პრინციპით იხელმძღვანელოს ყვე-

ლა კონფლიქტის მიმართ მიუხედავად ქვეყნის მასშტაბისა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი წარმოადგენდა პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებრივ აქტს. აფხაზ სეპარატისტებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და

ითვალისწინებდნენ ქართველთა მიმართ გენოციდის განხორციელების გარდაუვალობას.

გენოციდის დანაშაულის სუბიექტებად ამ შემთხვევაში აფხაზ სეპარატისტებთან ერთად გვეველინებიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი, რომლებიც გენოციდში მონაწილეობდნენ, როგორც ამსრულებლები, ასევე გარეშე ძალები და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც პირდაპირი, თუ ირიბი ფორმით მონაწილეობდნენ აფხაზეთის გენოციდში. ე.ი. აფხაზეთში მოწყობილი გენოციდის სუბიექტებად გვეველინებიან როგორც ძირითადი, ისე სპეციალური სუბიექტები (აფხაზეთის მთავრობის მიერ პრივილეგირებული უფლებამოსილების გამოყენებით დაგეგმილი და კოორდინირებული გენოციდი მოიცავდა თანამდებობის პირთა, მაშასადამე, სპეციალურ სუბიექტთა განზრახვას).

აფხაზეთში მოწყობილი გენოციდის ხელყოფის ობიექტებად გვეველინება განსხვავებული ეროვნული (ქართული წარმომავლობის ადამიანები) და რელიგიური (ქრისტიანები) ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფების სიცოცხლე და თვითმყოფადობა. ესე იგი, აფხაზეთში მოწყობილი გენოციდის ობიექტად გვეველინება ინდივიდუალურ-სამართლებრივი სიკეთე (ადამიანთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, პატივი და სხვა).

აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილ გენოციდს საფუძვლად ედო: 1. რელიგიური მოტივი. 2. ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივი.

1 რელიგიური მოტივი. მრავალი წლის განმავლობაში აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ კავკასიის მასშტაბით ინერგებოდა ქართველთა რელიგიური შეუწყნარებლობის აგიტაცია. კავკასიური წარმომავლობის ისლამური დაჯგუფებები (ჩეჩნები, დაღესტანელები, ადიგენელები, ყაბარდოელები) გაერთიანდნენ ერთიანი ისლამური კავკასიის ლოზუნგით, რომელშიც ქრისტიანული საქართველო მოიაზრებოდა მათი იდეოლოგიის ხელის შემშლელ ფაქტორად.

2 ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივი. აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს საფუძვლად ედო ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივიც. გენოციდის ეს ფაქტი არა აფხაზი ხალხის, როგორც ერთობის, არამედ აფხაზეთის სეპარატისტული ჯგუფების მიერ იქნა განხორციელებული. ამდენად, აქ ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივში იგულისხმება არა აფხაზი ხალხის ქართველებისადმი სიძულვილი, არამედ რუსეთის იმპერიული ძალების მიერ წახალისებული აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიური აგრესია.

ზემოხსენებულ ორ მოტივს იურიდიულ ლიტერატურაში ადამიანის მოძულე მოტივებს უწოდებენ (დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააარმდეგ).

აფხაზეთში მოწყობილი გენოციდის მთავარი მიზანი იყო ეროვნული და რელიგიური ნიშნით ადამიანთა მასობრივი განადგურება, ეთნიკური წმენდა და ისეთი ცხოვრებისეული პირობების შექმნა, რომელიც მათ იძულებულს ხდიდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილე-

ბი. ცნობილია, რომ აფხაზეთის ეთნო წმენდის შედეგად 300 000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთის ტერიტორია.

აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი გამოვლინდა: ა) ეროვნული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრთა მკვლელობაში; ბ) ასეთი ჯგუფის წევრთა ჯანმრთელობის სერიოზულ დაზიანებაში; გ) მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნაში;

1. ეროვნული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წევრთა მკვლელობა. აფხაზეთში ქართველი ერის წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდი ვლინდებოდა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებში. მკვლელობათა სერია აერთიანებდა სამ ძირითად ეტაპს. თითოეული ასეთი ეტაპი ქართველი ერის სისტემური მკვლელობით სრულდებოდა.

2. ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი ხშირად ვლინდებოდა მანიაკალურ ფორმებში – ქართველებს აჭრიდნენ ყურებს, ცეცხლს უკიდებდნენ, კოდავდნენ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), აჭრიდნენ სასქესო ორგანოებს, შვილის თვალწინ აუპატიურებდნენ მშობელს ან პირიქით. ამდენად, ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი ვლინდებოდა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მოშლილობის მიყენებაში. ოფიციალური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ აფხაზეთის გენოციდის შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო დაახლოებით 10 000 აფხაზეთის მცხოვრებმა;

3. ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნა. აფხაზეთში ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის დაწესებამ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა აფხაზეთში მცხოვრები

მკვიდრი ქართველი მოსახლეობა და მიიყვანა მისი ფიზიკური განადგურების ზღვარამდე. შექმნილი ვითარება კარგად არის ასახული საქართველოს პარლამენტის 1994 წლის დადგენილებით „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტეიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ“.

აფხაზეთში გენოციდთან ერთად მოეწყო ქართველი ერის ეთნიკური წმენდაც. ეთნიკური წმენდის მიზანი იყო აფხაზეთიდან ქართველი მოსახლეობის მასობრივი აყრა, დევნა, მათი მშობლიური ადგილებიდან გაძევება. ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერიტორიიდან გაძევებული იქნა 200 000-მდე ქართველი. ადგილი ჰქონდა სამოქალაქო მოსახლეობაზე მასობრივ თავდასხმას, რაც გამოიხატებოდა ქართველთა მკვლელობაში და მათ სისტემურ დეპორტაციაში. ეს გარემოება კი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ქმნის როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას, ისე დანაშაულთა ერთობლიობას (ადამიანთა დეპორტაციას საფუძველად ედო მათი თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რასობრივი დისკრიმინაცია და სხვ.).

ქართველთა მიმართ მოწყობილ გენოციდში დოკუმენტური მასალით და პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის გენოციდს წინ უსწრებდა შეთქმულება რუსეთსა და აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას შორის. ამდენად აფხაზეთის გენოციდში იკვეთება როგორც თანამონაწილეობა, ისე შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით, რაც „გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციის“ მესამე მუხლით დასჯადად არის გამოცხადებული და ქმნის გენოციდის დანაშა-

ულის შემადგენლობას. ასე რომ, საერთაშორისო სამართლით მხოლოდ შეთქმულებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ფაქტს მიეცეს გენოციდის კვალიფიკაცია.

ეს ნიშნები ქმნის გენოციდის შემადგენლობას როგორც საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, ისე გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციით.

1993 წლიდან აფხაზეთში პროცესები აბსოლუტურად უმართავი გახდა. ქართველთა მიმართ მოწყობილ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიული ძალები. ისინი აერთიანებდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს და კავკასიის შეიარაღებულ დაჯგუფებებს — ყაბარდოელებს, ჩეჩნებს, დაღესტანელებს და სხვ. მარტის თვიდან სოხუმში დაიწყო საარტილერიო და საავიაციო დაბომბვა, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ რუსი სამხედროები. ამ მასირებულ თავდასხმებს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ქართულ მხარეს განსაკუთრებული ზიანი გუდაუთის დაჯგუფებამ მიაყენა. ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი ვლინდებოდა აგრესიულ ფორმებში — მიმდინარეობდა ქართველთა სისტემური დახვრეტა, წამება, ძარცვა, გაუპატიურება, თავების მოჭრა, ცოცხალ ადამიანებზე ყურების დაჭრა, სამოქალაქო მოსახლეობაზე მასიური თავდასხმა. როგორც ჩანს ამ ქმედებაში იკვეთება არა მხოლოდ გენოციდის, არამედ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობაც.

შექმნილი ვითარების გამო 1993 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“. დადგენი-

ლება'ში საქართველოს პარლამენტი ადასტურებდა რუსეთის ჯარების ხელშეწყობით, გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების მიერ ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს, რის გამოც, საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დაევალა უმოკლეს ვადაში შეექმნა მშვიდობიანი მოსახლეობის, მძევალთა და ტყვეთა გამოხსნის საგანგებო კომისია. ამავდროულად, შექმნილი ვითარების შესწავლისა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით აფხაზეთში უნდა გაგზავნილიყო საქართველოს პარლამენტის, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის, მინისტრთა კაბინეტის წევრთა დელეგაცია.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის ქმედითი ღონისძიებებისა, აფხაზეთში ქართველების გენოციდი არ განელებულა. სეპარატისტთა შეიარაღებული ძალის 60%-ს მოხალისე პარტიზანები შეადგენდნენ, რომლებიც რუსეთის მმართველი წრეების უშუალო მხარდაჭერით ეტაპობრივად ახორციელებდნენ ეთნიკურ წმენდასა და ქართველი ერის გენოციდს. აფხაზეთის გენოციდმა საწყის ეტაპზე გუდაუთაში მცხოვრები ქართველები იმსხვერპლა, 1992 წლის 2 ოქტომბრიდან კი გენოციდის ეპიცენტრად გაგრა იქცა, ხოლო 1993 წლის 16 სექტემბრიდან ქართველთა მიმართ მოწყობილმა გენოციდმა მოიცვა — სოხუმი, ოჩამჩირე, გალი. სოხუმის აღების შემდეგ სეპარატისტთა პარტიზანებმა დაახლოებით 7000 ქართველი უსასტიკესად ამოხოცეს, მათ შორის მედიისა და კულტურის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, ხელოვანები და სხვ.

აფხაზეთში განლაგებული რუსეთის „სამშვიდობო" კონტიგენტი აქტიურად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამასთან, საქარ-

თველოს მეთაურისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებებში, არაერთხელ იქნა გაცხადებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანის თაობაზე, რასაც არ მოსდევდა სათანადო შედეგი. რუსეთის ჯარებისა და აფხაზი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ქართველი მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას.

შექმნილ ვითარებაში 1993 წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე. ამ დადგენილების ძალით საქართველოს რესპუბლიკის მეთაურს უნდა დაეწყო რუსეთის პრეზიდენტთან ინტენსიური მოლაპარაკება, აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე გუმისთის ჩრდილო დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, უნდა მიჩნეულიყო რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად.

1993 წლის 27 ივლისს ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეს შორის დაიდო შეთანხმება „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის შესახებ". ამ შეთანხმების თანახმად, აფხაზეთში იკრძალებოდა ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება, ტყვია-წამლის შეტანა. უნდა დაწყებულიყო კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია და აფხაზეთიდან უნდა გამოსულიყვნენ შეიარაღებული ფორმირებები, ჯგუფები.

შეთანხმების მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფ რუსეთის ჯარებს უნდა დაეცვათ მკაცრი ნე-

იტრალიტეტი. თუმცა, 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, უხეშად დაირღვა აფხაზეთისა და რუსეთის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. საქართველოს მხარემ კონფლიქტის ზონიდან მთლიანად გამოიყვანა მძიმე ტექნიკა. ამით კვლავ ისარგებლეს აფხაზთა შეიარაღებულმა ბატალიონებმა და დაიწყეს ქართველთა გენოციდის ახალი ეტაპი.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო აქტიურად ჩაერთო აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების პროცესში, მის მიერ მიღებული რეზოლუციები არ აღმოჩნდა ქმედითი ხასიათის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1993 წლის 24 აგვისტოს რეზოლუციით საქართველო'ში დაწესდა გაეროს მეთვალყურეთა მისია შემდეგი მანდატით:

ა) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შესრულების შემოწმება;

ბ) ცეცხლის შეწყვეტის დარღვევის შესახებ შეტყობინებათა გამოძიება;

გ) მოხსენების წარდგენა გაეროს გენერალური მდივნისათვის თავისი მანდატის განხორციელების თაობაზე, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევათა ჩათვლით. სამწუხაროდ, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის დაწესება არ აღმოჩნდა საკმარისი ქართველთა გენოციდის თავიდან ასაცილებლად. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1993 წლის ოქტომბრიდან აფხაზები აწყობდნენ ქართველთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტას. მართალია, მათზე დაუყოვნებლივ ეცნობებოდა გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს, მაგრამ დანაშაულებრივი ფაქტები რეაგირების გარეშე რჩებოდა. სამწუხაროა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, ისევე როგორც გაეროს

სამხედრო დამკვირვებლებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია, თუმცაღა გაეროს უშიშროების საბჭო თითქმის ყველა რეზოლუციაში ხაზს უსვამდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების აუცილებლობას, იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნებას, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განუხრელ დაცვას.

1994 წლის 24 აგვისტოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალის გამოყენების შესახებ". დადგენილების ძალით მხარეები სრულად აღიარებდნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთის რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით აედგენდნენ კოლექტიური სამშვიდობო ძალების შექმნას, რომლის სარდალიც უნდა ყოფილიყო რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი. სამწუხაროდ, ვერც ამ შეთანხმებამ უზრუნველყო გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულებანი და აფხაზეთი კვლავ რჩებოდა ქართველთა დისკრიმინაციისა და გენოციდის მთავარ ეპიცენტრად. სწორედ 1994-დან 1997 წლამდე გენოციდის დანაშაულს შეეწირა დაახლოებით 1200 მშვიდობიანი ქართველი.

აფხაზეთში ქართველთა ბიმართ მოწყობილი გენოციდი არ შეიძლება გამართლდეს იმ მოტივით, რომ იმ დროს ქართველ და აფხაზ ხალხს შორის არსებობდა შეიარაღებული დაპირისპირება. შეიარაღებული დაპირისპირება ან საომარი მოქმედება არავის არ აძლევს სამოქალაქო მოსახლეობის ეროვნული კუთვნილებისათვის განადგურების უფლებას, მაგ: „ გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციის" პირველი მუხლის შე-

საბამისად გენოციდი ექვემდებარება პასუხისმგებლობას მიუხედავად იმისა იგი ომიანობის დროს იქნება ჩადენილი თუ მშვიდობის. ამდენად, აფხაზეთის შეიარაღებული დაპირისპირებით არ შეიძლება გამართლდეს სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ხოცვა.

ქართველთა მიმართ მოწყობილ მასობრივ ხოცვაში გენოციდთან ერთად იკვეთება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევის ფაქტებიც. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 411 მუხლი ითვალიწინებს პასუხისმგებლობას შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევისათვის. აფხაზთა მიერ წარმოებული საომარი მოქმედების შედეგად იკვეთება ისეთი ნიშნები, რომლებიც საქართველოს მოქმედი სსკ-ით ქმნიან 411 და 413 მუხლებით დადგენილი დანაშულთა შემადგენლობას (მაგ: 411 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია პასუხისმგებლიბა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე თავდასხმისათვის, დაუცველ ადგილებზე და დემილიტარიზებულ ზონებზე თავდასხმისათვის, აპარტეიდის ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაჰუმანური მოქმედებისთვის, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას, ქონების მითვისებისათვის, რაც არ იყო გამოწვეული საომარი აუცილებლობით. 413 მუხლი კი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მაროდიორობისათვის, ესე იგი, საომარი მოქმედების დროს მოკლულის ან დაჭრილის ნივთის დაუფლებისთვის, ან მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლებისათვის, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში).

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე ჩატარებული გამოძიება აერთიანებს

საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების და სხვა ფაქტობრივი გარემოებების ოც ტომეულს. მრავალი მტკიცებულების მიუხედავად დამნაშავენი ჯერ კიდევ არ არიან დასჯილნი. ამიტომ, მარიეებულია მათი პასუხისგებაში მიცემის მიზნით განხორციელდეს გაცილებით ეფექტური და ქმედითი ღონისძიებანი. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული საშუალება, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. აფხაზეთში ქართველი ერის მიმართ მოწყობილი გენოციდის დასაბუთებას და ბრალდებულთა პასუხისგებაში მიცემას სახელმწიფოსათვის გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ჯერ ერთი, ამით იზეიმებს მართლმსაჯულება, ბრალდებულნი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის და მეორე, ამით დადასტურდება რუსეთის რეაქციული ძალების რეალური ზრახვები ამ კონფლიქტთან მიმართებაში, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობდა საქართველო წარმოედგინა აგრესორ მხარედ და მისთვის საერთაშორისო სივრცეში შეექმნა მტრის იმიჯი. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემისადმი ამგვარი მიდგომით მოსკოვმა ფაქტიურად უარი თქვა (საქართველოს) ტერიტორიული ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობის ფუძემდებლურ პრინციპზე და დაადგა აფხაზეთის ანექსიის დანაშაულებრივ გზას. საბედნიეროდ დამდგარია დრო, როცა რუს სამშვიდობოებს კონფლიქტის ზონაში უნდა ჩაენაცვლოს საერთაშორისო ძალები. სამწუხაროდ რუსი ექსპერტების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთის დადანაშაულება ქართველთა გენოციდში აბსოლუტურად უსაფუძვლოა. მათი განცხადებით ამის დასტურია ისიც, რომ გაერომ და საერთაშორისო სამყარომ ქართველთა გენოციდი და მასში რუსული ძალების მონაწილეობა არ ცნო.

დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს მოდელი, სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკით სამ ძირითად რგოლს აერთიანებს (სახელმწიფო ტერიტორია, სახელმწიფოს მოსახლეობა და ძალაუფლების განხორციელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე). ამიტომ უნდა განისაზღვროს აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშავოს ავტონომიის სათანადო მოდელი, რომელიც შესაბამისობაში მოვა, ამ რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით, დემოკრატიული სახელმწიფოს თანამედროვე მოთხოვნებთან. გათვალიწინებული და დაცული უნდა იყოს საზოგადოების ინტერესი, მათი კულტურული თვითმყოფადობა. ამ მხრივ კულტურული ავტონომია წარმოადგენს ავტონომიის ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ მოდელს, რომელშიც სპეციფიკური ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები ქმნიან თვითმმართველობას სახელმწიფოს შემადგენლობაში.

საქართველოში, 2001 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვით, მოსახლეობის 52% თვლის, რომ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში უნდა მიენიჭოს ავტონომია ფართო უფლებებით, ხოლო 30% მიაჩნია, რომ იგი საქართველოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ავტონომიური სტატუსის გარეშე. 13%-ის თვალთახედვით აფხაზეთში უნდა შეიქმნას კულტურული ავტონომია. გამოკითხულთა 2% კი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის შემოერთება უნდა მოხდეს კონფედერაციულ საწყისებზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გენოციდის საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადებამ შექმნა, ერთ მხრივ მისი შემდგომი პრევენციის მნიშვნელოვანი საფუძველი და მეორე მხრივ, ამ დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების სწრაფი და ეფექტური ფორმა. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან გენოციდი საერთაშორისო სამართლის რეგულირების ობიექტად იქცა. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ევროპის ქვეყნების სისხლის სამარილის კანონმდებლობაში გენოციდის დანაშაულის საკანონმდებლო კოდიფიკაცია. 1948 წლის 9 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასმბლეამ მიიღო „გენოციდის თავიდან აცდენისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენცია". ამ საერთაშორისო დოკუმენტით განისაზღვრა გენოციდის დანაშაულის ცნება, იურიდიული ბუნება და ქმედებათა ის ჩამონათვალი, რომელიც იწვევდა საერთაშორისო პასუხისმგებლობას. ყველა ის ქვეყანა, რომელიც ამ კონვენციას მიუერთდებოდა ან მის რატიფიკაციას მოახდენდა, ვალდებული იყო ეროვნულ კანონმდებლობაში მოეხდინა საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით. ამის შედეგად გენოციდის დანაშაული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში მოექცა.

მსოფლიოში გენოციდის დანაშაულის შესწავლისადმი მიდგომა არ არის ერთგვაროვანი. გენოციდის შესწავლის მოცულობისა და შესასწავლი მეთოდიკის მიხედვით ქვეყნები, შეიძლება პირობითად დაეყოთ ორ კატეგორიად: 1. პირველ კატეგორიაში შეიძლება მოვიაზ-

როთ ის ქვეყნები, რომლებიც გენოციდის დანაშაულს შეისწავლიან სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვა დანაშაულების განხილვის პარალელურად, როგორც საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის შემადგენელ ნაწილებს. ამ ქვეყნებში გენოციდი არ წარმოადგენს ცალკე კვლევის ობიექტს, 2. ხოლო მეორე კატეგორიის ქვეყნებს შეადგენენ ისინი, რომლებიც გენოციდის დანაშაულს იკვლევენ, როგორც ინდივიდუალური სამართლის ინსტიტუტს, ყველა სხვა დანაშაულისაგან დამოუკიდებლად და შესაბამისად ამ სახელმწიფოებში გენოციდი დამოუკიდებელი კვლევის ობიექტად არის მიჩნეული. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებიან გერმანია, ავსტრია, შვეიცარია. მაგალითად, გემანიაში არსებობს ე.წ. „დიასპორისა და შედარებითი გენოციდის კვლევითი ინსტიტუტი", ასევე რაფაელ ლემკინის სახელობის „ქსენოფობიისა და გენოციდის კვლევითი ინსტიტუტი", ამიტომ პირველ კატეგორიაში შემავალი ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანიაში ავსტრიასა და შვეიცარიაში გენოციდის პრობლემებზე გაცილებით ღრმა შინაარსის სამეცნიერო შრომები იქმნება. მსოფლიოს სწორედ ამ ქვეყნებმა დაუტოვეს გენოციდის კვლევის საკმაოდ მდიდარი ტრადიცია.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდი ჩვენს თვალწინ მოხდა, დღემდე საქართველოში გენოციდის თემატიკაზე სახელმძღვანელოები ძაან მცირე რაოდენობით არსებობს, ამიტომ, ვფიქრობ წინამდებარე მონოგრაფია ამ დანაშაულის სწორად გააზრებაში გარკვეულ დახმარებას გაუწევს გენოციდის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს.

დღეს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება გენოციდის პრევენცია, ამდენად აუცილებელია შემუშავებული იქნას გენოციდის პრევენციის ერთიანი კონცეფცია. თუ ამ დანაშაულის პერიოდიზაციას ჩავუღრმავდებით აღმოვაჩენთ, რომ გენოციდმა ყველა ათწლეულს უდიდესი ტრაგედია მოუტანა, ამიტომ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ გაეროს მიერ მიღებულმა ზომებმა, გენოციდის პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით ამ დანაშაულის ხვედრითი წილი არსებითად შეამცირა, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ დღეს გენოციდი ისეთივე მასშტაბურია, როგორც მეოცე საუკუნის შუა წლებში. მაგ: მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნებით საფუძველი ჩაეყარა გენოციდის დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტურ ფორმას. სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ ამ სასამართლოს დაფუძნების დღიდან გენოციდის ფაქტები საგრძნობლად შემცირდა.

გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შემდგომი პრევენციის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ასევე ამ პრობლემის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირება. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ წინამდებარე მონოგრაფიაში თანმიმდევრულად არის განხილული ზოგიერთი ქვეყნის სსკ-ის ის ნორმები, რომლებიც ქმნიან გენოციდის თავიდან აცილებისათვის ხელსაყრელ პირობებს და გენოციდისათვის აწესებენ პასუხისმგებლობის გონივრულ ზომას.

ასევე ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა საქართველოს მოქმედი სსკ-ის 407-ე მუხლის საერთაშორისო აქტებთან, კერძოდ „გენოციდის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენციასთან" და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდე-

ბასთან" შეუსაბამობის პრობლემა. ამიტომ მიმაჩნია, რომ 407-ე მუხლის აღწერილობითი დისპოზიცია დასაზუსტებელია, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როცა აფხაზეთში ქართველთა მიმართ მოწყობილი ეთნიკური წმენდა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები მოითხოვს სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას. ამდენად, მიმაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომის პირველი თავის მეორე პარაგრაფი პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რამდენადაც მასში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის აღწერილობით დისპოზიციაში შესატანი ცვლილებები.

Zusammenfassung

Die vorliegende Arbeit, wie es in der Einührung des Buches schon erwähnt wurde, ist fast das erste georgischsprachige Lehrbuch über das Thema Völkermord (Genozid). Darin werden systematisch das Wesen des Völkermords, die Geschichte seiner Herkunft, Entwicklung, auch die bekanntesten Tatsachen des Weltgenozids und der in der Abchasischen Autonomen Republik gegen Georgier veranstaltete Genozid und die ethnische Säuberung erörtert.

In der Arbeit ist der Reihe nach das Verbrechen Genozid sowohl nach dem internationalen Massstab als auch nach der innenstaatlichen Hinsicht erörtert.

Der Genozid ist im LXVII. Kapitel des Strafgesetzbuches Georgiens angegeben (das Verbrechen gegen den Frieden, Sicherheit und das internationale humanitäre Recht der Menschheit) und er wird im 407. Artikel dieses Gesetzbuches besprochen. Obwohl dieser Artikel sich nicht mit der richtigen Form den Inhalt des Verbrechens Genozid widerspiegelt und im Gegensatz sowohl zu „der Konvention über Verhütung und Bestrafung des Völkermordes" als auch zu dem „römischen Statut des internationalen Strafgerichtshofs" steht. Deshalb ist in der Arbeit auf eine wichtige Frage hingewiesen - welche Korrekturen im 407. Artikel des Strafgesetzbuches Georgiens vorgenommen werden sollen. Das Ziel ist, dass er diesen zwei obenerwähnten internationalen Dokumenten entspricht.

Der Genozid hat im XX. Jahrhundert vielen Ländern grösste Tragödien und Opfer mitgebracht, deswegen ist der Kampf gegen dieses Verbrechen sowohl eine wichtige innenstaatliche Aufgabe, als auch Aufgabe der entsprechenden internationalen Organisationen. Es ist bekannt, dass Generalversammlung der Vereinten Nationen am 9. Dezember 1948 „Konvention über Verhütung und Bestrafung des Völkermordes" getroffen hat. Mit dieser Konvention wurde die inter-

nationale Verantwortung für das Genozidverbrechen bestimmt. Am 17. Juli 1998 aber wurde „römisches Statut des internationalen Strafgerichtshofes" getroffen, wonach die Jurisdiktion des internationalen Strafgerichtshofes auch auf das Verbrechen Genozid wirkte. Georgien hat „das Übereinkommen über Verhütung und Bestrafung des Völkermordes" am 13. Mai 1993 ratifiziert. Damit hat Georgien die vollständige Bereitschaft dafür erklärt, alle Äusserungen des Genozids zu widerstehen und zu bekämpfen.

Ich finde, dass die vorliegende Arbeit den Studenten der juristischen Fakultät und der breiten Gesellschaft, die für die Probleme dieses Verbrechens interessieren, sehr gut dabei helfen wird, der Genozid richtig verstehen. Ich hoffe auch, dass ich dem Leser auch in der Zukunft meine wissenschaftlichen Forschungen nicht nur über die Probleme des Völkermordes, sondern auch über andere internationale Verbrechen anbiete.

Sulchan Kiknadse

გამოყენებული ლიტერატური

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თბ. 2006წ.
2. ლეკვეიშვილი მ. მამულაშვილი გ. – პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის თბ. 2003წ.
3. გვარამია მ. – საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია-თბ.2002წ.
4. გვარამია მ. – ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები. საერთაშორისო სისხლის სამართლისა და დიპლომატიური სამართლის აქტები.
5. თოფურიძე ნ. – „საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო“ თბ. 2002 წ.
6. „გენოციდის თავიდან აცილებისა და გენოციდისათვის დასჯის კონვენცია“ – მიღებული 1948 წლის 9 დეკემბერს
7. „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება“ – მიღებული 1998 წლის 17 ივლისს
8. დიასამიძე თ. – რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. თბ.2002.
9. დიასამიძე თ.–აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული.
10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურები დევნილობაში.
11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. თბ. 2000.

12. გამახარია ჯ.– ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა ისტორიიდან თბ. 1991.
13. მარშანია ლ. – აფხაზეთის ტრაგედია თბ. 1995
14. მიბჩუანი თ. II ნაწილი აფხაზეთი(XVI-XX საუკუნეები) თბ.2006.
15.Уголовное право- часть общая, часть особеная--- Авторскии коллектив: Бобылев олег Викторович, Бородин Станислав Владимирович, Гухман Лев Давидовичю
16.Крылова Н.Е-Уголовныи кодекс Австрии 2001
17. Галахова А.В, Соболева Р.В. Угаловныи кодекс Россиискои Федерации 2002
18. S. Bernhard Greis, Johannes Varwick-„Die Vereinten Nationen". Oplanden 2002
19. Peter-Alex Albrecht: Die vergessene Freiheit und Strafrechtsprinzipien in der europäischen Sicherheitsdebatte.
20. Fragen des internationalen und nationalen menschenrechtsschutzes- Rene Rhinow, Stephan Breitenmoset, Bernard Eherzeller. 1997 Basel
21. Manthe Ulrich Geschichte des römischen Rechts. 1997
22.Deutsches Strafgesetzbuch und Nebengesetze. C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung. München 1997
23.Glaubenskriege: Führer und Verfürte / Heinz-Jürgen Forg; Hermann Scharnagl_ Wurzburg: Echter 2001.
24.Genesis des Genozids: Polen 1939- 1941 von Klaus michael Mallmann, Bogdan Musial.
25.Moderner Minderheitenschutz. Rechtliche oder politische Absicherung- Hans Joachim Heintze (HG) Zum 50 Jahrestag der UN Menschenrechtseklärung. Bonn 1998.
26.Dewermann Eugen- Reden gegen den Krieg-Bonn 2001
27.Laqueur Walter- Faschismus Gestern-Heute-Morgen. Aus dem englischen von Bernd Rullkötter-Ullstein 2000

28.Hoppe Th. Menschenrechte im Spannungsfeld von Freiheit, Gleicheit und Solidarität. Hamburg 2001
29.Randelhofer A. Volkerrechtliche Verträge, Vereinten Nationen, Beistanspakte, Menschenrechte, See-, Luft- und Weltraumrecht, Umweltrecht, Kriegsverhutungsrecht, Kriegsrecht, Internationale Strafgerichtsbarkeit. Berlin 2002.

ინტერნეტში მოპოვებული მასალები

31.www.hist.net/kieser/aghet essayes/ essayschaller.html.
32.www.welt.de/data/2005/07/15/45765.html
33.www.hagalil.com/archiv/2005/02/armenier.htm
34.www.haias.net/historie/arxive_de.html
35.www.kurdistan-rundbrief.de/2005/kr050109.html
36.www.free.de/Zope/linksrhein/news/1119698642/index_html
37.www.tibet_wuerzburg.de/news/news117.html
38.www.shoa.de/content/view/585/46
39.www.juedisches-archiv-chfrank.de/antisemit/antisem001.htm
40.www.juden.de/newsarchiv/september_2001/indexnews.shtml
41.www.comecloser.de/lexik.htm.
41.www.amazon.de/Kein-Zeuge_%C3%BCberleben-Genozid-Ruanda/dp/3930908808
42.www.kas.de/veranstaltungen/2004/10098_veranstaltungen.html
43.www.3sat.de/seiten/pl2005_0_Laub.pdt
44.www.maxtravelz.com/de/kambodscha.html
45.www.hateful-metal.de/vmord_kambodscha.html
46.www.abchaseti.de
47.www.ruhr_uni-bocghum.de/igh
48.www.ist.net/ag-genozid
49.www.woz.ch/artikel/inhalt/2004nr48/wissen/10926.html

50.www.psichologie.unizh.ch/sozpsy/teach/ss03/hrs/handouts/Handout_8.pdf
51.www.vho.org/aaargh/deut/thion/kuh.html
52.www.preventgenocide.org.de
53.www.guajara.com/wiki/dewikipedia/v/vo/volkermord.html
54.www.preventivgenocide.org/de/lemkin/anwaltsblatt1933.htm
55.www.ghwk.de/poln/linke/tz.htm
56.www.supernationalcriminology.org/website Links.htm
57.www.allbookstores.com/genocide-history_pssd.html
58.www.bokuus.com/b/372052376.html